საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 26 იანვარი. 2017 წ. №18 (8155), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გრაკლიანის გაშიფრული საიდუმლო

5

„რომელ კარს ვიხილავ, რომელ საპყრობილეს“...

აკადემიის სტიპენდიატები

6-7

სტიმული სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის

ექსკლუზივი

ვანო მერაბიშვილი ყოველთვის ბოკერიას გუნდს ემხრობოდა

3

მოსალოდნელი მოულოდნელობა

35 მეტრი ენგურჰესზე ქვეყნიერების დასასრულამდე

8

გუგა წვერავა - პირველი მორაგბე აშშ-ში პროფესიული კონტრაქტით

10



პრემიერი გაცხარდა!

ჩვენ ბრალს გვდებენ სამხედროების უპატივცემულობაში, როდესაც 2008 წლის კონფლიქტის მონაწილე თითქმის ნახევარი ჯარი ციხეში ამოალპეს

„ჩვენ არ ვართ ქვეყნის დამაქცევარნი. ეს ხდება იმ პოლიტიკური ძალის მიერ, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაზიანებაში ათწლეულობის განმავლობაში, რომელმაც ქვეყანა წამოაგო უმძიმეს პროვოკაციას – რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას მწვანე შუქი აუნთო, – აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ყოფილ ხელისუფლებაზე საუბრისას, ეს განცხადება კვირიკაშვილმა ცერცვაძის საქმეზე გაკეთებული კომენტარის შემდეგ გააკეთა.

მისი თქმით, ახალი ხელისუფლება იცავს საკუთარ სამხედროებს და ოპონენტების მხრიდან იმის მტკიცება, რომ ხელისუფლება არ უფრთხილდება მებრძოლებს, არასწორია, პრემიერის თქმით, ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სწორედ წინა ხელისუფლების დროს მოხდა აგვისტოს ომი.

„უფრო მეტიც, ისინი ჩვენ ბრალს გვდებენ სამხედროების უპატივცემულობაში, როდესაც 2008 წლის კონფლიქტის მონაწილე თითქმის ნახევარი ჯარი ციხეში ამოალპეს, ჩახოცეს ციხეში, გვამებიც კი არ გამოასვენეს კონფლიქტის ზონიდან; უმძიმესი პროვოკაცია მოაწყვეს კოდორის ხეობაში და იქ მყოფი გმირი ადამიანები ჩახოცეს; კრიალაშვილი, რომელიც უკვე გვამი იყო, სკამზე მიაბეს და შემდეგ კიდევ ერთხელ დახვრიტეს. ეს ადამიანები დღეს ჩვენ გვდებენ ბრალს სამხედროების უპატივცემულობაში. მინდა, ჩვენს მოქალაქეებს მოვუწოდო, კარგად დაფიქრდნენ იმ ადამიანების შიგთავსსა და წარსულზე, რომლებმაც დღეს ჩვენ ქვეყნის სიყვარულის ნაკლებობასა და ლამის მოღალატეობაში დაგვდეს ბრალი; კარგად დაუკვირდნენ, ვინ ვინ არის, ვინ რას აკეთებს ამ ქვეყნისთვის და ვის სურს ამ ქვეყნისთვის მართლა კარგი. ამ ყველაფრის მიუხედავად, მინდა ვთქვა, რომ ისინი ჩვენს დღის წესრიგს ვერ შეცვლიან. ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ თანმიმდევრულად იმ გზაზე სიარულს, რასაც ჩვენი ქვეყნის ამ უბედურებიდან ერთხელ და სამუდამოდ გამოყვანა და სწორი განვითარების გზაზე დაყენება ჰქვია. ეს არის ჩვენი შეუცვლელი დღის წესრიგი და ამაში დღეს ჩვენი ქვეყანა გვერდით გვიდგას, მიუხედავად იმისა, ვინ დომინირებს მედიასივრცეში. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ ქვეყნის სიყვარულში ეს უღირსი ადამიანები ნუ შეგვეჯიბრებიან“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვიცე-პოლკოვნიკ გია ცერცვაძის საქმეზე პირველი კომენტარი გააკეთა და იმედი გამოთქვა, რომ ცერცვაძე არ იქნება გადაცემული რუსეთისთვის:

„აქ კითხვის ნიშნები საერთოდ არ უნდა იყოს. ორი დღეა, ჩვენი მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე ყოველწუთიერ კონტაქტზეა უკრაინის გენერალურ პროკურორთან და ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს საქმე გადაწყდება ისე, რომ ბატონი ცერცვაძე არ იქნება გადაცემული რუსეთისთვის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ვაშინგტონი დღეს ისეთივეა, როგორც რომის იმპერიის დროინდელი რომი...

4

ნუკრი ქანთარია მიწების უცხოელებზე გაცემის წინააღმდეგია!

მიწების „უპრაგონოდ“ გაცემას უცხო მოქალაქეებზე ნამდვილად ვერ მივესალმები, – აცხადებს საქართველოს პარლამენტის წევრი ნუკრი ქანთარია.

„ლაპარაკი იმაზე, რომ ამ მიწებს ვერავინ მოიკიდებს და ვერსად წაიღებს, უაზრობაა. თუ აღმოჩნდება, რომ ჩვენი გეოგრაფიულად არცთუ ისე დიდი მიწა-წყალი იქნება სულ დარეგისტრირებული უცხოელებზე, რასაკვირველია, ეს არ არის კარგი. უნდა მოინახოს გარკვეული, შუალედური გამოსავალი. ეს შეიძლება იყოს იჯარაც, რომ შედეგი მივიღოთ. მიწების „უპრაგონოდ“ გაცემას უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები“, – განაცხადა ქანთარიამ.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურგში

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თამარ ჩუგოშვილი ხელმძღვანელობს, სტრასბურგში იმყოფება, სადაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სასესიო და საკომიტეტო მუშაობაში იღებს მონაწილეობას.

ვიზიტის ფარგლებში, დეპუტატებმა შეხვედრა საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან პედრო აგრამუნტთან გამართეს. მხარეებმა ქართული დელეგაციის განახლებული შემადგენლობის სამომავლო გეგმებსა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობაზე ისაუბრეს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამარ ჩუგოშვილის თქმით საუბარი შეეხო პედრო აგრამუნტის იმ განცხადებასაც, რომელიც ევროპის საბჭოს საპარლამენტო პრეზიდენტმა თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ გააკეთა.

პრეზიდენტის ზოგიერთ შენიშვნას, ალბათ, გავიზიარებთ!

ზაქარია ქუცნაშვილი არ გამორიცხავს, რომ პარლამენტმა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების ნაწილი სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტის შესახებ გაიზიაროს, ნაწილი კი — არა.

„შენიშვნები ჯერ არ მინახავს, თუმცა საჯარო სივრციდან ვფლობ ინფორმაციას, რომ შენიშვნები 6 საკითხს ეხება. ამ 6 საკითხიდან რამდენიმე საკითხი აქტუალური მგონია და პირადად ვაკრიტიკებდი ამ საკითხებს. მაგალითად, მე არასწორი მგონია, რომ შენარჩუნდეს მოსამართლეების დანიშვნის პრაქტიკა, ამის შესახებ საჯაროდაც განვაცხადე. სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის წესთან დაკავშირებით, ძველი და ახალი კანონითაც შენარჩუნდა იუსტიციის საბჭოს მხრიდან სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის პრაქტიკა. მე ვიყავი არჩევის მომხრე. უბრალოდ კამათი მიდიოდა ორ თემაზე, მომხდარიყო არჩევა კენჭისყრით თუ წილისყრით. მე წილისყრის მომხრე ვიყავი. მე არ მომწონდა ასევე, რომ ჩვენ შემოვიღეთ უზენაესი სასამართლოს შემადგენლობასთან მიმართებაში მინიმალური წევრთა რაოდენობა და არ შემოვიღეთ მაქსიმალურ წევრთა რაოდენობა. კანონის არსი მდგომარეობს ხელისუფლების შებოჭვაში. უნდა შებოჭოს ხელისუფლების განშტოებები და თავისუფლება მისცეს მოქალაქეებს. ვფიქრობ, კანონში უნდა ყოფილიყო ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა იყოს მოსამართლეთა მაქსიმალური რაოდენობა. დანარჩენ 4 შენიშვნას გავეცნობი. არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი შენიშვნა გაზიარებული იქნას და იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი შენიშვნა გაზიარებული არ იყოს“ — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ირმა ინაშვილი შვედეთის სამეფოს ელჩს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრმა ირმა ინაშვილმა შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში მარტინა ქვიქთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და შვედეთს შორის ორმხრივ ურთიერთობასა და სამომავლო თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით საპარლამენტო საქმიანობის კუთხით. როგორც ელჩმა აღნიშნა, შვედეთის საპარლამენტო ორგანოს წარმომადგენლები, საქართველო-შვედეთის პარლამენტების მეგობრობის ჯგუფების ფარგლებში,აქტიურად ითანამშრომლებენ საქართველოს პარლამენტთან. იგი ასევე დაინტერესდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობით და ფრაქციის ხედვებით ამ საკითხზე.

გაიხსნა კინოლოგიის ცენტრი

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კელიმ შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ლილოს ბაზაზე კინოლოგიის ცენტრი გახსნეს. ღონისძიებას შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსი დათო ნიკოლეიშვილი, აშშ-ის საელჩოს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„სასაზღვრო პოლიცია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. სწორედ ამიტომ, მისი ინსტიტუციური განვითარება და თანამედროვე, მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სასაზღვრო პოლიციას საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაში. კინოლოგიის ცენტრის გახსნაც სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას ემსახურება.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და საზღვრის დაცვის სფეროში ერთობლივად კიდევ არაერთ მნიშვნელოვან და წარმატებულ პროექტს განვახორციელებთ,“ — განაცხადა ღონისძიებაზე გიორგი მღებრიშვილმა.

პროექტი საქართველოში აშშ-ის საელჩოს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს დახმარებით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, მათ შორის, ახალი სასაზღვრო სექტორების მშენებლობა და სახელმწიფო საზღვრის ელექტრონული დაკვირვების სისტემებით აღჭურვა.

ბრავო! — თათბირები მონეტარული პოლიტიკის გამჯანსაღებელი ყოფილა!

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გასვლითი სხდომის დასრულების შემდეგ, რომელიც ქუთაისში გაიმართა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც მედიის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო ის ფაქტორები, რამაც განაპირობა კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება.

„მოხარული ვარ და დიდი პატივია ჩემთვის, რომ დღევანდელი შეხვედრა სწორედ ქუთაისში, განსაკუთრებული ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ქალაქში ტარდება, ქუთაისი სიდიდით მეორე ქალაქია საქართველოში და მისი როლი ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ქუთაისში შეხვედრით ეროვნული ბანკი იწყებს კომუნიკაციის ახალ ეტაპს — როგორც გახსოვთ, წლის დასაწყისში ჩვენ შევპირდით საზოგადოებას, რომ ყოველი მეორე მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომის შემდეგ გავმართავდით ბრიფინგს. ავხსნიდით კომიტეტის გადაწყვეტილებებს და ვუპასუხებდით თქვენს შეკითხვებს. ამ ტრადიციისთვის არ გადაგვიხვევია და ასეთი ბრიფინგი რამდენჯერმე ჩავატარეთ თბილისში. ვიწყებთ უკვე რეგიონებში შეხვედრებს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომის შემდეგ ბრიფინგი გაიმართება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ვგეგმავთ ადგილობრივ მედიასთან, ბიზნესთან, სამეცნიერო წრეებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეხვედრებს.

ქუთაისში შევხდებით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, მოხარული ვარ, რომ თანამშრომლობის მემორანდუმსაც გავაფორმებთ მათთან. ასევე შევხვდებით ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებს, მოვისმენთ მათ მოსაზრებებს, წუხილებს, რეკომენდაციებს“, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

მილიონიანი პროექტი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და გაეროს განვითარების პროგრამამ დაასრულეს 1 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების შვიდწლიანი პროექტი, რომელიც საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

სასტუმრო „თბილისი რუმსში“ პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა საქართველოში ნილს სკოტმა მიმართეს. პროექტი გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის და გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით განხორციელდა კავკასიის ბუნების ფონდის და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს თანამონაწილეობით.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ათ დაცულ ტერიტორიასა და ეროვნულ პარკში რამდენიმე ინფრასტრუქტული პროექტი განხორციელდა. განახლდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობები და ტურისტებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, ახალი ტექნიკით აღიჭურვა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და რეინჯერთა სამსახურები. მნიშვნელოვანია სოციალური კომპონენტი, რაც გულისხმობს სახელფასო დანამატს პარკების ადმინისტრაციების თანამშრომელთათვის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის თანადაფინანსებას და დანამატს საკვებზე ღამისთევის პატრულირებაში მონაწილე რეინჯერებისათვის.

ვითიბი ბანკის აგროსესხები

2016 წლის შედეგებით, ვითიბი ბანკმა 1900 აგროსესხი გასცა, ჯამურმა თანხამ 50 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში 17 მილიონი ლარის სესხია გაცემული. წლის განმავლობაში ვითიბი ბანკის აგროკრედიტების პორტფელის ზრდამ 26% შეადგინა. 2016 წლის განმავლობაში ვითიბი ბანკის აგროსესხები გაიცა მემცენარეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის, სასათბურე მეურნეობების და სხვა სექტორების დასაფინანსებლად.

ბოლოს და ბოლოს, დაიკავეს თუ არა რობაქიძე?

შსს-ს უარყოფის მიუხედავად სოსო რობაქიძე მისი დაკავების ფაქტს ადასტურებს:

„დაკავებული ვიყავი ნამდვილად. ახლა გამომიშვეს პოლიციიდან. მიზეზი არც მე არ ვიცი ჯერ. ბუნებრივია, შსს ამ ფაქტს არ დაადასტურებს, თვითონაც არ იციან, რა გააკეთეს“, — განუცხადა სოსო რობაქიძემ საზოგადოებრივ მაუწყებელს“.

რაც შეეხება შსს-ს, „პირველმა რადიომ“ ინფორმაცია გადაამოწმა, თუმცა უწყებამ რობაქიძის დაკავება არ დაადასტურა.

დევნილთა ნაწილს, შესაძლოა, სახელმწიფო შემწეობა მოეხსნას

როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი განმარტავს, მოხდება დიფერენცირება და შემწეობა მხოლოდ იმ დევნილებზე გაიცემა, რომლებსაც ეს თანხა რეალურად ესაჭიროებათ.

უმრავლესობაში მიაჩნიათ, რომ ამ ცვლილებებზე საუბარი ნაადრევია, თუმცა აცხადებენ, რომ რეფორმა აუცილებელია.

„ჩვენ გვინდა გავაკეთოთ გარკვეული დიფერენცირება, რომ დევნილთა შემწეობები იყოს ორიენტირებული იმ დევნილებზე, რომლებსაც მართლა სჭირდებათ დახმარება, რომლებიც მართლა სოციალურად გაჭირვებულები არიან და არა იმ ადამიანებზე, რომლებსაც აქვთ მაღალი თანამდებობები, კარგი ხელფასი“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

ვანო მერაბიშვილი ყოველთვის ბოკერიას გუნდს ემხრობოდა

ანალიტიკოსმა თორნიკე შარაშენიძემ „მეტრონომთან“ ინტერვიუში საგარეო და შიდა პოლიტიკაზე ისაუბრა. შარაშენიძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივნობაზე უარის თქმით, ფაქტობრივად, პოზიცია გამოხატა, რომ ის გიგა ბოკერიას ჯგუფის გულშემატკივარია.

ანალიტიკოსის აზრით, მერაბიშვილსა და სააკაშვილს შორის დაპირისპირება ჯერ კიდევ 2012 წლამდე დაიწყო. მისი აზრით, ექს-პრეზიდენტის ყველაზე დიდი შეცდომა, მერაბიშვილის პრემიერად დანიშვნა იყო, რადგანაც ის პოლიტიკოსი არასდროს ყოფილა. თორნიკე შარაშენიძესთან საუბარი საგარეო პოლიტიკით დავიწყეთ.

ARI ვიცი, ვანოსა და მიშას შორის რა პირადი პრობლემებია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროს საქართველოს მერაბიშვილი ნამდვილად სჭირდებოდა და თავისი პრეზიდენტის დავალებებს მშვენივრად ასრულებდა. თუმცა, ის პოლიტიკური ფიგურა არასდროს ყოფილა.

— როგორ ფიქრობთ, ახალი ადმინისტრაციის პირობებში ამერიკის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ხომ არ შენელდება?

ინაუგურაციის დროს, სიტყვით გამოსვლისას დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ამერიკა ალიანსში მყოფ ქვეყნებთან ურთიერთობას კიდევ უფრო განამტკიცებს. შესაბამისად, ამით მან ყველა ის ქვეყანა იგულისხმა, რომელიც ამერიკისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოც მოიაზრება.

საუბარი იმაზე, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა საქართველოს მიმართ შესუსტდება, გეტყვით, რომ ჩვენი ქვეყნის საკითხი უკვე ისედაც, დიდი ხანია, გაყინულ მდგომარეობაშია. შესაბამისად, თავს არც ობამას ადმინისტრაცია იწუხებდა.

— რა არის მიზეზი, რომ საქართველოს საკითხი ამ ეტაპზე საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი აქტიური აღარ არის?

— როგორც ჩანს, ერთგვარი შეთანხმებაა, რომ რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტს აღარ შეეხება და ამერიკა თავის მხრივ ჩვენს ქვეყანას ნატოში აღარ შეიყვანდა. შესაბამისად საქართველო თავისით უნდა განვითარდეს. ამიტომ, რამე განსაკუთრებულ აქტიურობას, არც ახალი ადმინისტრაციისგან უნდა ველოდოთ. მით უმეტეს ვხედავთ, რომ რუსეთს საქართველოსთვის ახლა არ სცხელა.

— ტრამპისა და პუტინის შეხვედრის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, ამერიკა საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში, პრინციპულ პოზიციას დაიკავებს?

— საქართველოსა და უკრაინის თემა ერთ დონეზე არ დგას. უკრაინა როგორც ამერიკისთვის ასევე რუსეთისთვის უფრო მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. საქართველო რუსეთისთვის პრობლემა 2012 წლამდე იყო. ახლა ჩვენი ხელისუფლება ვხედავთ, რომ თვალში ძალად არავის ეჩხირება...

კრემლისთვის საქართველოს ხელისუფლების პოზიცია და პოლიტიკა ახლა სრულიად მისაღებია. ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე დიდად აღარ ვაქტიურობთ. საქართველოს ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობს, ყველას თავი დაავიწყოს.

შეიძლება ეს საქართველოსთვის კარგიც იყოს, მაგრამ ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის არ მგონია, რომ სწორი ტაქტიკაა, მით უმეტეს, როდესაც მეზობლად მტრულად განწყობილი ქვეყანა გყავს და კაცმა არ იცის, როდის რას მოიმოქმედებს.

— ამერიკის სახელმწიფო მდივნის ახალ პერსონასთან ტილერსონთან დაკავშირებით რას იტყვით?

— ტილერსონის პრორუსულობა გამოგონილი მითია. პუტინსა და მას შორის ურთიერთობა ბიზნესთან დაკავშირებით ყოველთვის რთული იყო და ის რუსეთის პრეზიდენტის მეგობარი არასდროს ყოფილა.

ეს ჯილდოც, რომელიც მან ტილერსონს გადასცა, მხოლოდ და მხოლოდ ფარსია. შესაბამისად, მის სახელმწიფო მდივნად დანიშვნა არ ნიშნავს, რომ ის კრემლის მიმართ ლოიალურად განწყობილი იქნება.

— ახლა თემას მინდა გადავუხვიო და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გკითხოთ. ცნობილი გახდა, რომ ვანო მერაბიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი აღარ იქნება. როგორ ფიქრობთ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ის გიგა ბოკერიას ჯგუფს შეუერთდება?

— მერაბიშვილი რომ გიგა ბოკერიას გუნდს ემხრობოდა, ეს მგონი ახალი ამბავი არ არის. მე არც გამკვირვებია, რომ მან „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივნობაზე უარი განაცხადა. სააკაშვილსა და ბოკერიას შორის განხეთქილება 2012 წლამდე დაიწყო. მაშინაც მერაბიშვილი ბოკერიას მხარეს იყო, ხოლო უკვე როდესაც განხეთქილებამ თავისი სახე მიიღო და პარტია ორად გაიყო, მერაბიშვილმა, ვფიქრობ, ამ პოზიციით თავისი არჩევანი უკვე დამაჯერებლად გამოხატა.

— მერაბიშვილის გადაწყვეტილების შემდეგ, საზოგადოების მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ ვანოსგან სააკაშვილი ასეთ მოქცევას არ იმსახურებდა, რადგანაც ექს-პრეზიდენტმა გირგვლიანის საქმეზე მას და მის მეუღლეს ხელი დააფარა...

— არ ვიცი, ვანოსა და მიშას შორის რა პირადი პრობლემებია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროს საქართველოს მერაბიშვილი ნამდვილად სჭირდებოდა და თავისი პრეზიდენტის დავალებებს მშვენივრად ასრულებდა. თუმცა, ის პოლიტიკური ფიგურა არასდროს ყოფილა.

ვფიქრობ 2012 წელს სააკაშვილმა მისი პრემიერად დანიშვნით დიდი შეცდომა დაუშვა. არჩევნებში წაგების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ მისი პრემიერობა გახდა. ის კარგი მენეჯერი და მმართველია, რასაც მის პოლიტიკოსობაზე ვერ ვიტყოდი.

ესაუბრა
ელზა პაპუშვილი

ევროსაბჭომ ევროპულ სასამართლოში მოსამართლედ წარდგენილი სამივე კანდიდატურა ჩააგდო

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ოთარ კახიძის თქმით მოსამართლეების არდამტკიცების მიზეზი, შესარჩევი კონკურსის არაკვალიფიციურობა იყო.

„სამივე კანდიდატურა ჩააგდო ევროსაბჭომ. მიზეზი გახლდათ ის, რომ კანდიდატების შერჩევის კონკურსი არ იყო ჩატარებული კვალიფიციურად. ეს არის ხელისუფლების არაკომპეტენტურობის კიდევ ერთი დადასტურება და კერძოდ, იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის, არაკომპეტენტურობის, რადგან სწორედ ის თავმჯდომარეობდა შესარჩევ კომისიას. ამ კომისიამ იმუშავა აბსოლუტურად გაუმჭვირვალედ. სამოქალაქო საზოგადოებისთვის და პრინციპში, ყველასთვის გაურკვეველი იყო, რა კრიტერიუმების მიხედვით მოხდა კანდიდატთა შეფასება და როგორ შეირჩა საუკეთესო სამი კანდიდატი. ევროსაბჭომ ერთხელ უკვე არ დაამტკიცა აღნიშნული სია და იანვრისთვის გადადო განხილვა, დღეს კი ეს სია საბოლოოდ ჩააგდო და დაუბრუნა მთავრობას“ — ამბობს საპარლამენტო უმცირესობის წევრი ოთარ კახიძე.

საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეების სია ასე გამოიყურებოდა: ევა გოცირიძე, ალექსანდრე ბარამიძე და გიორგი ბადაშვილი. მოსამართლეებს ევროსაბჭოს 1-მა წევრმა დაუჭირა მხარი, ხოლო 5 წინააღმდეგი წავიდა. სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან არჩეულ მოსამართლეს — ნონა წოწორიას ვადა 2017 წლის იანვარში ეწურება.

წულუკიანმა ან წარმოადგინოს დამადასტურებელი ფაქტი ან ბოდიში მოიხადოს

სახალხო დამცველი იუსტიციის მინისტრისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს. უჩა ნანუაშვილი თეა წულუკიანის იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც წულუკიანმა სტრასბურგში მოსამართლეების სიის ჩავარდნაში სხვებთან ერთად უჩა ნანუაშვილი დაადანაშაულა.

„სახალხო დამცველი არაერთ შეხვედრას მართავს, მათ შორის სტრასბურგში და ევროსაბჭოს წარმომადგებლებთან, სადაც, რა თქმა უნდა, არის ამ საკითხზე საუბარი და ჩვენ რაიმე განსაკუთრებული ამ შეხვედრებზე არ გვისაუბრია, რაზეც საჯაროდ ღიად არ ვსაუბრობთ. ეს შეფასება ჩემთვის შეურაცხმყოფელი და გაუგებარია. სახალხო დამცველი მართავს შეხვედრებს ბევრ საკითხზე ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან. არის ხოლმე კითხვები პროცედურებზე, რაზეც საჯაროდ ვსაუბრობთ. თუკი სადმე მსგავს განცხადებას გავაკეთებთ, ეს ნიშნავს, რომ პროცედურები გამოსასწორებელია.

მე ვფიქრობ, ალბათ, ყველამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სიტყვაზე ან უნდა წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტი ან ბოდიში მოიხადოს“, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

ის, რაც სტრასბურგში მოხდა ხელისუფლების მარცხი არ არის

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ ის, რაც სტრასბურგში მოხდა ხელისუფლების მარცხი არ არის.

„სტრასბურგის გადაწყვეტილება არის გადაწყვეტილება, რომელსაც იღებს სტრასბურგი. საქართველოს ხელისუფლება კანდიდატებს კიდევ ერთხელ წარადგენს ყველა შესაბამისი პროცედურის დაცვით“, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას გია ჟორჟოლიანმა.

ასეც ხდება, როცა ჩინოვნიკებმა წერა-კითხვა არ იციან!

ზუგდიდის საკრებულოს დადგენილებას ხელს ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე აწერს!

ოზურგეთის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, შეიმუშავეს დადგენილებები, რომელიც ოზურგეთის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე უნდა განიხილონ და დაამტკიცონ. ერთ-ერთი დადგენილების პროექტში, რომელიც 2017 წლის იანვრით თარიღდება და ქალაქ ოზურგეთის მერიის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცებას ითვალისწინებს, შემდეგს ვკითხულობთ:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქ. ოზურგეთის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის დებულება-დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია 2017 წლის პირველი თებერვლიდან.

ზუგდიდის საკრებულოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას ხელს ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე აწერს.

„გურიის მოამბე“

ვაშინგტონი დღეს ისეთივეა, როგორც რომის იმპერიის დროინდელი რომი...

ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ თუ არა დონალდ ტრამპი პრეზიდენტად არჩევიდან ინაუგურაციამდე ამ მოკლე პერიოდში და რას უპირებს ლობისტების მძევალ ამერიკელ პოლიტიკოსებს?! ამის შესახებ ექსპერტი სოსო ზაალიშვილი გვესაუბრება.

— ᲞᲘᲠᲕᲔᲚ რიგში, მინდა, ამერიკელ ხალხს და მთელ მსოფლიოს მივულოცო აშშ-ის 45-ე პრეზიდენტად დონალდ ჯონ ტრამპის არჩევა. წინა პრეზიდენტისგან განსხვავებით, ფიცის დადებისას ტრამპს არ შეშლია ტექსტი და საჭირო არ გახდა, თავიდან დაედო ფიცი უკვე თეთრ სახლში. ობამამ ხელმეორედ დადო ფიცი თეთრ სახლშიც, რადგან შეეშალა პირვანდელი სიტყვა. მნიშვნელოვანი იყო, რომ როდესაც ტრამპს ინაუგურაციის ცერემონიალის რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს, მან ტრადიციულად აირჩია არლინგტონის სასაფლაოზე მისვლა, მოინახულა ყველა ის ადგილი, რომელიც თავის დროზე მოინახულეს რეიგანმა და სხვა კონსერვატორმა პრეზიდენტებმა. მთლიანად ტრადიციულ ფორმებში ჩაატარა ინაუგურაციის ცერემონიალი. ეს უკვე აჩვენებს, თუ რა მეთოდით აპირებს ტრამპი თავისი ოთხწლიანი მმართველობის წარმართვას. ოთხწლიანს ვამბობ, თორემ ვფიქრობ, საერთოდ, რვაწლიანი მმართველობა ექნება ტრამპს. სხვათა შორის, ამაზეც გაამახვილა ყურადღება და ცერემონიალის დაწყებისას თქვა, ჩვენ ხალხი იმიტომ მოგვცემს ხმას შემდეგ არჩევნებში, რომ დაინახავს, ჩვენმა გუნდმა ყველაფერი გააკეთა ამერიკისთვის და ყველა დაპირება შეასრულაო. ანუ, ტრამპს შემდეგ საპრეზიდენტო მარათონში ჩართვა გადაწყვეტილი აქვს.

— დონალდ ტრამპი აშშ-ის ყველაზე ხანდაზმული პრეზიდენტია, იგი 70 წლის არის. რეიგანი მას მხოლოდ ერთი წლით ჩამორჩებოდა და გაპრეზიდენტებისას 69 წლის იყო. ამერიკას ახსოვს ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტებიც-რუზველტი 42 წლის გახლდათ, ხოლო ობამა-47 წლის. ხომ არ შეუშლის დონალდ ტრამპს ასაკი მეორე ვადისას?

— არჩევნების წინ, როდესაც კანდიდატების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა უნდა წარედგინათ, ჰილარი კლინტონს პრობლემები ჰქონდა, დიარეა დაემართა და გონება დაკარგა. მას მეხსიერების პრობლემები აღენიშნებოდა. ტრამპის ცნობა როცა წარადგინეს, ცხენივით ჯანმრთელიაო. არანაირი პრობლემა მას არ აქვს. წარმოიდგინეთ, კაცი 70 წლისაა და 10 წლის შვილი ჰყავს. მართალია, თავად ინაუგურაციის ტექსტი მოკლე იყო, მაგრამ დონალდ ტრამპმა ძალიან მნიშვნელოვანი „ქეივორდები“, მესიჯები გამოხატა.

უკვე დაიწყეს მის ულტრანაციონალიზმზე ლაპარაკი. მან თქვა, რომ ამერიკა პირველ ადგილზე უნდა იყოს და ყველა გადაწყვეტილების მიღებისას ამერიკის ინტერესებით იხელმძღვანელებს. ტრამპი პირველი პრეზიდენტია, რომელმაც განაცხადა, აგრესიული ისლამი ჩვენი მტერია და ის უნდა გავანადგუროთო. ანუ, პრაქტიკულად, ტრამპმა წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირება არ შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ და მსოფლიო ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ ეს ადამიანი, ცუდი გაგებით, დაბალანსდებოდა და კონიუნქტურაში ჩაჯდებოდა, ის არ შეიცვლება. იგი თავიდან ბოლომდე გააგრძელებს იმ ხაზს, რასაც არჩევნებამდე მისდევდა — სამუშაო ადგილების დაბრუნება ამერიკაში, აგრესიულ ისლამთან ბრძოლა და მისი საბოლოო განადგურება. საუბარია არა მარტო ისლამურ სახელმწიფოზე, არამედ შიიტურ ისლამზეც, ირანის ბირთვულ პროგრამაზე. ტრამპის საგარეო კურსი შემდეგნაირადაა აგებული: მტერი არის ისლამური სახელმწიფო და ირანი, მეგობარია ისრაელი და პრობლემას წარმოადგენს ჩინეთი. ყველა დანარჩენ ქვეყანასთან კი მოვილაპარაკებთ, თუ როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემები და მტრები როგორ გავანადგუროთ.

— სხვათა შორის, ოცნებებზეც ისაუბრა და რაღაცით ეს ოცნებები ივანიშვილის დაპირებების ანალოგიური იყო.

— ტრამპის საარჩევნო კამპანია ძალიან ჰგავდა ივანიშვილის 2012 წლის საარჩევნო კამპანიას. ანალოგიური იყო დაპირებებიც. უბრალოდ, საქართველოსა და ამერიკას შორის განსხვავება ეკონომიკაშია. ამერიკის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის 25 %-ია. ამერიკის პრეზიდენტს შესაძლებლობა აქვს, შეასრულოს დაპირებები. ტრამპის ფულებზე არ არის დამოკიდებული დაპირებების შესრულება, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც ივანიშვილმა უნდა დახარჯოს ფული, რომ რაიმე შესრულდეს.

— ერთი „სპიჩრაიტერი“ ან მრჩეველი ხომ არ ჰყავდათ ტრამპსა და ივანიშვილს? რას ნიშნავს ფრაზა, დავაბრუნებთ ამერიკულ ოცნებებს, რომელიც ხალხს მოჰპარეს?

— ერთი მრჩეველი არა მგონია, მაგრამ ტრამპის გუნდში ცნობილი პოლიტტექნოლოგები არიან. თავიდან სკანდალი იყო ამ გუნდის ერთ-ერთი წევრის შესახებ, რომელიც თავის დროზე იანუკოვიჩის პოლიტტექნოლოგიც იყო. შემდეგ ის შეიცვალა და ულტრაკონსერვატორული ბლოგის — „ბრეიტბარტის“ რედაქტორი სტივენ ბენონი დანიშნეს პოლიტტექნოლოგად. საქართველოში ნაკლებად ცნობილია ეს გამოცემა, რადგან ჩვენში მარტო „სი-ენ-ენ“-ს უყურებენ.

ენდრიუ ბრეიტბარტი ებრაელი ულტრაკონსერვატორი, ჟურნალისტი იყო, რომელსაც მრავალი გამოძიება ჰქონდა ჩატარებული ობამას, კლინტონებისა და მემარცხენე ლიბერალური კლანების წინააღმდეგ. იგი დაიღუპა. როგორც ამბობენ, შესაძლოა, მოკლეს კიდეც. „ბრეიტბარტის“ დღევანდელი რედაქტორი ბენონი საკმაოდ გავლენიანი ჟურნალისტია ამერიკაში. ის ახლა ტრამპის მთავარი მრჩეველია სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში. მოგეხსენებათ, მთელი ამერიკული მედია ტრამპის წინააღმდეგ იყო განწყობილი. ტრამპის წინასაარჩევნო კამპანია კი უფრო აგებული იყო სოციალურ მედიაზე, ტვიტერზე.

ტრამპის გუნდის წარმომადგენლები და კონსერვატორი ბლოგერები ფეისბუქს ნაკლებად იყენებდნენ, უფრო ტვიტერით მუშაობდნენ. ამით გადაქაჩეს მთელი მედია. ჯერ კიდევ 2008 წლის არჩევნებში დამარბისა და ორჯერ მეტი ფული დახარჯა არჩევნებზე.

— საქართველოში ნორმად მიაჩნდათ, რომ ხალხს ჰპარავდნენ ძალაუფლებას, მაგრამ ამერიკაში, ამ დემოკრატიის შუქურაშიც, ასეთივე პრობლემებია? ალბათ, ტრამპს შემთხვევით არ უთქვამს, რომ ვაშინგტონიდან ძალაუფლებას ხალხს გადასცემს.

— ეს პრობლემები ამერიკაში ნამდვილად არის. წარმოიდგინეთ, ვაშინგტონი დღეს ისეთივეა, როგორც რომის იმპერიის დროინდელი რომი. ვაშინგტონში წყდება ძალიან ბევრი საკითხი და მუშაობს უამრავი ლობისტი. ლობისტებთან დაკავშირებით კარგად ვარ ინფორმირებული, რადგან ვაშინგტონში ამ კუთხით მომუშავე პარტნიორები მყავს, რომლებთანაც მეც ვმუშაობ. იცით, ვაშინგტონში როგორ იბლოკება ცალკეული გადაწყვეტილებები? რატომ არის, რომ ამერიკაში ნავთობს არ მოიპოვებენ? იმიტომ, რომ რომელიღაც ფირმამ განახორციელა ლობიზმი, ფული მისცა ლობისტს, რომელიც ვაშინგტონში მივიდა, კონგრესმენებს დაუფინანსა საარჩევნო კამპანია და ამ კონგრესმენებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თურმე „მწვანეები“ მართლები ყოფილან და ამერიკაში ნავთობი რომ მოიპოვონ, პრობლემები შეექმნება ამერიკის ბუნებას. ასეთი მავნე გადაწყვეტილებების უკან ის დგას, რომ, სინამდვილეში, აფრიკაში უფრო იაფია ნავთობის მოპოვება, შავკანიანებს ამუშავებენ და იაფად მოიპოვებენ. ასეთივე პრობლემებია მთელ ვაშინგტონში, ვაშინგტონი გადაქცეულია ჭაობად.

მსოფლიო ახალი დღის წესრიგის პირისპირ

— ამიტომაც აპირებს ტრამპი ადგილობრივი ამერიკული ნავთობისა და გაზის მოპოვებას, რომელიც ხელოვნური რეგულაციებით იყო შეჩერებული?

—ტრამპი ამას აპირებს, მაგრამ ვაშინგტონში მთავარი პრობლემაა, რომ ეს ლობისტები იმდენად მართავდნენ პოლიტიკოსებს, რომ ისინი მათი მძევლები იყვნენ. ზუსტად ახლა გამოძიების ქვეშაა კლინტონების საოჯახო ფონდი, სადაც 200 მილიონი მარტო მაროკოს სულთანს აქვს გადარიცხული, ასევე, თანხები გადარიცხული აქვს კატარის სულთანს. უზარმაზარი საგარეო თანხები იდება ამერიკის პოლიტიკაში. ტყუილად ხომ არ მისცემს კატარის სულთანი თანხებს კლინტონებს?

— ინტონებზე დარტყმა კვლავაც ძალაშია და მომგებიანი იქნება ტრამპისთვის?

—რა თქმა უნდა, გამოძიება დაიწყება, თუ ვინ აფინანსებდა ჰილარი კლინტონს. ამერიკელი „დემოკრატები“ ამბობენ, რუსები ჩაერივნენ ტრამპის სასარგებლოდო. არადა, პირიქით აღმოჩნდა, „დემოკრატების“ სასარგებლოდ ერეოდნენ ჩინელები, არაბები, ირანელები, უკრაინელები. გამოდის, შენს სასარგებლოდ არაბი თუ ერევა, ეს თურმე შეიძლება და შენი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ რუსი რომ ჩაერიოს, თურმე არ შეიძლება.

— ინაუგურაციიდან მეორე დღესვე ამერიკის პრეზიდენტის საიტიდან გაქრა ობამას ზოგიერთი ბრძანება, მათ შორის, ლგბტ და კლიმატის პრობლემებთან დაკავშირებით. ტრამპი თვლის, რომ ასეთ თემებზე გადაყრილი თანხები ამერიკელებისთვის მოპარულია. რეალურად განახორციელებს იმ დაპირებებს, რაც საკუთარ ხალხს მისცა?

— ვფიქრობ, დაპირებებს განახორციელებს და, რასაც ვერ შეძლებს, მეორე ვადით არჩევისას დაასრულებს. ტრამპი მეორე ვადით არჩევნებსაც მოიგებს, რადგან ჰილარი კლინტონმა პოპულარული ხმების მიხედვით, ტრამპს სადღაც 2 მილიონი ხმით მოუგო, რომელიც კალიფორნიაში მცხოვრებ არალეგალ ამერიკელებს ეკუთვნოდათ. ამერიკაში არჩევნები სხვა მეთოდით ტარდება. ამერიკის პრობლემა ის არის, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ გჭირდება პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა, ფოტოიანი საბუთი. შეიძლება, სტუდენტური ბარათი წარადგინო, სადაც არ გაქვს ფოტო და ისე მისცე ხმა, მერე წახვალ სხვაგან და იქაც მისცემ ხმას.

— ანუ კარუსელს ატრიალებენ?

— დიახ, ჩვენთან კიდევ კარგად არის საქმე. პირადობის მოწმობა მაინც გვჭირდება არჩევნებზე. ტრამპი ამ წესებს შეცვლის და უკვე ამიტომაც უწყობენ საპროტესტო გამოსვლებს.

ესაუბრა

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲝᲠᲘ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲡ

Keystone XL და Dakota Access ნავთობსადენების მშენებლობა განახლდება. შესაბამის განკარგულებას ხელი აშშ პრეზიდენტმა მოაწერა. დონალდ ტრამპის განცხადებით, პროექტებზე 28 ათასამდე ადამიანი დასაქმდება.ნავთობსადენების მშენებლობას 2015 წელს ვეტო პრეზიდენტმა ობამამ დაადო, რაც ეკოლოგიური ფაქტორით ახსნა.

ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲙᲔᲓᲚᲘ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐᲜ

ამერიკის 45-ე პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ გაცემული პირობების შესრულებას იწყებს. დონალდ ტრამპი სოციალურ ქსელ ტვიტერში წერს, რომ მექსიკის საზღვარზე დამცავი კედლის მშენებლობის დაწყების განკარგულებას ხელს დღეს მოაწერს. „ეს იქნება ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღე. ჩვენ კედლის მშენებლობას დავიწყებთ,“ — წერს ტრამპი.

ერისა და ბერის, განსაკუთრებით კი – მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გასაგონად!

„რომელ კარს ვიხილავ, რომელ საპყრობილეს“...

გრაკლიანის გაშიფრული საიდუმლო

ალექსანდრე მეგუთნიშვილი, 77 წლის, პროფესიით-გეოლოგი, რომელიც მრავალი წელია, ქართული ანბანის ისტორიას სწავლობს, აცხადებს, რომ კასპში, გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილი, ჩვენ წელთაღრიცხვამდე XI-X საუკუნეებით დათარიღებული წარწერა ქართულად იკითხება და ასე ჟღერს: „რაი ღარ ვიჰ, რაი ნარ“ („ რომელ კარს ვიხილავ, რომელ საპყრობილეს“).

არქეოლოგების თქმით, რადგან გრაკლიანის წარწერა საკურთხეველზეა ამოტვიფრული, რელიგიური შინაარსის უნდა იყოს, რაც იმ დროს მხოლოდ ქურუმებისთვის იქნებოდა გასაგები. წარწერის რელიგიურ შინაარსზე მიუთითებს ალექსანდრე მეგუთნიშვილიც, რომელიც ამბობს, რომ ,, რომელ კარს ვიხილავ, რომელ საპყრობილეს“ ნიშნავს: სამოთხეში წავალ თუ – ჯოჯოხეთში.

როგორც მკვლევარი აცხადებს, არქეოლოგების მიერ გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილი წარწერა უძველესი, დაახლოებით, 110 საუკუნის წინანდელი, იბერიულ-ქართული ანბანის მიხედვით წაიკითხა, რომელიც ლემურების ეპოქის დროინდელია, 23 ასო-ნიშანს აერთიანებს და არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უძველესი წარწერების მიხედვითაა შედგენილი. როგორც ალ. მეგუთნიშვილი ამბობს, ეს ანბანი ფუძე- საძირკველია ასო-მთავრულის და მხედრულის, დანარჩენი კი, კომბინაციური მეთოდის და ინტუიციის საქმეა.

ანბანით, რომელიც ქრისტიანმა რეფორმატორებმა ახ. წ.ა. V საუკუნეში ბაზისად გამოიყენეს და მასზე დააფუძნეს ასომთავრული, ალექსანდრე მეგუთნიშვილმა 32-მდე წარწერა გაშიფრა. მათ შორისაა ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნის იბერიული ფირფიტა. ფირფიტაზე აღწერილია ვულკანური მოვლენა კავკასიაში, კერძოდ, სვანეთში: ,,აჭახა სვანს, ო, იქმ, ნსინ რო...“ გეოლოგიიდან ცნობილია, რომ სვანეთის სიახლოვეს, მართლაც, არის ,,ჩამქრალი ვულკანი“, თუმცა, როგორც თავის დროზე ლენინგრადელმა სპეციალისტებმა მიუთითეს, ის ისევ სუნთქავს და სულაც არ არის ჩამქრალი. მკვლევარი ამბობს, რომ სხვა გაშიფრული წარწერებიც ისტორიულ მოვლენებს ემთხვევა.



ალექსანდრე მეგუთნიშვილი

ალექსანდრე მეგუთნიშვილი არ გამორიცხავეს, რომ მის აღმოჩენას ბევრი სკეპტიკურად შეხვდება. ასე იყო მრავალი წლის განმავლობაში, როდესაც საკუთარი კვლევებით, თანამოაზრესთან, ბეჟან წიკლაურთან, ერთად, არაერთი ინსტანცია მოიარა, არაერთ მეცნიერს შეხვდა, თუმცა, უშედეგოდ. მეცნიერებათა აკადემიიდან წერილიც მიიღეს: ,,რბილად რომ ვთქვათ, არ არის მეცნიერული კვლევის შედეგი-“ო (აკადემიკოსები: ჯიბლაძე და ძიძიგური, 1983 წლის 13 ივნისი, თბილისი). ენთუზიასტ მკვლევარებს ბევრი არ უფიქრიათ და ცნობილ მეცნიერებს მარტივი პასუხი გაუგზავნეს: ,,შაბაშ, აკადემიკოსებო!“ (ილია).

შემდეგ კი, გზა განაგრძეს: საკუთარი კვლევის შედეგები 1991 წელს გაზეთ ,,წუთისოფელში“ გამოაქვეყნეს, 1995 წლიდან კი ალექსანდრე მეგუთნიშვილის და ბეჟან წიკლაურის ნაშრომები სისტემატურად ქვეყნდებოდა გაზეთ ,,არჩევანში“. მათ წაიკითხეს მსოფლიოში აღმოჩენილი ყველა ის ქართულენოვანი ტექსტი, რომელიც ხელში ჩაუვარდათ...

ენთუზიასტი მკვლევარების საქმიანობას შეფასება მწერალმა და მთარგმნელმა აკაკი გელოვანმაც მისცა: „ნუ უკუვაგდებთ განუსჯელად ენთუზიასტების ცდებს, რომ აღადგინონ ის, რაც დაკარგულა, რაც „უწყალოს დროს ხელით დანთქმულა“... ხსენებული ენთუზიასტები არ მოელიან არც ჰონორარებს და არც პატივ-დიდებას, არც – სავარძლებს. მათ სურთ, სიმართლეს მიაგნონ და ამისთვის ხელი არ უნდა ვკრათ... ალ. მეგუთნიშვილის და ბ. წიკლაურის მსჯელობანი ფირფიტის, თასის, წარწერების, ქარაგმების, გრაფემების გაშიფვრის და სხვა კომპონენტების შესახებ, დაწვრილებითი მსჯელობა, ანალიზი, შეჯერება სპეციალისტების საქმეა, მაგრამ ყოველი მხილველი შეიტყობს, რომ საქმე გვაქვს არა დილეტანტურ, არამედ, ფრიად სერიოზულ ერუდიციასთან, ძიებასთან, რომლის ჩაკვლა ოდესმე მკაფიო დანაშაულად გამოიკვეთებოდა. იმედი გვაქვს, ასე არ მოხდება“...

ნატო მეგუთნიშვილი

ავტორისგან: ჩემ მეხსიერებას ის წიგნებით ხელში შემორჩა და დღესაც ასე აგრძელებს. ფიქრობს, რომ ყოველი ახალი წიგნის წაკითხვისას, სრულიად ახალ სამყაროს აღმოაჩენს. ეს სამყარო მისთვის არცთუ ხელგაშლილი აღმოჩნდა, რადგან 40 წლის განმავლობაში, საკუთარ იდეაში ღრმად დარწმუნებული, ჯერ კიდევ „ცეკას“ დროიდან, ინსტანციიდან ინსტანციაში სირბილით დაიღალა. სწორედ ამიტომ ხელნაწერად შეკრული წიგნის გამოცემაზე აღარ უფიქრია. გრაკლიანის წარწერამ კი, მრავალი წლის შემდეგ მისი უდიდესი პატრიოტიზმით სავსე სული კიდევ ერთხელ გამოაფხიზლა. დიდებაზე და დაფნის გვირგვინებზე არც ახლა ფიქრობს. ამბობს, რომ მოხუცდა და დახმარება სჭირდება, რადგან არ უნდა, გრაკლიანის საიდუმლო საფლავში წაიღოს.

ამას კი ჩემზე უკეთ ვერავინ გააკეთებს, რადგან ის მამაჩემია...

ნ.მ.

„საქართველოს სამხედრო ისტორია“

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის ჯაბა სამუშიას წიგნის – „საქართველოს სამხედრო ისტორია“ წარდგინება გაიმართა.

ნარკვევების კრებული ავტორმა პირადად წარადგინა.

როგორც ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, წიგნი დიდი მონოგრაფიის ნაწილია და სრულად მიეძღვნა საქართველოს სამხედრო ისტორიას. მისი თქმით, წიგნში IX-დან XX საუკუნემდე განვითარებული მოვლენებია თავმოყრილი და მასში ასევე გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრების შესახებ ნაკლებად ცნობილი ფაქტები ბიოგრაფიული ნარკვევის სახითაა წარმოდგენილი.

ისტორიკოსის განმარტებით, საბჭოთა კავშირის პერიოდში სამხედრო ისტორიის კვლევასა და მის გამოცემას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ახლა კი გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც ამ მიმართულებას იკვლევენ.

„სამხედრო ისტორიის კვლევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის. ამბობენ ხოლმე, საქართველოს ისტორია მეფეების ისტორიაა. მე კი ვიტყოდი, რომ საქართველოს ისტორია ბრძოლების ისტორიაა.

ამჟამად საქართველოს სამხედრო ისტორიაში ჩრდილოელ მეზობელთან დაპირისპირების კუთხით გარკვეული წარუმატებლობა აქვს. ჩვენ კი გვინდა ყველას დავანახოთ, რომ ქვეყნის სამხედრო ისტორიაში მრავლად იყო პერიოდები, როცა ომებს ჩვენ ვიგებდით.

ქვეყანა, სადაც ერთიანობა, სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდაა, ომს აუცილებლად მოიგებს. ისტორია ცხოვრების მასწავლებელია“, – განაცხადა სამუშიამ.

წიგნი „საქართველოს სამხედრო ისტორია“ გამომცემლობა „პალიტრა დ“- მა გამოსცა.

სტიმული სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის

ბლიც-ინტერვიუ ახლადარჩეულ სტიპენდიატებთან

- განათლებული ახალი თაობა ქვეყნის მომავალია!
- ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში;
- პრიორიტეტული დარგების აღმავლობა;
- კატასტროფების რისკების შემცირება;
- სტუდენტების მოზიდვა მეცნიერებაში;
- ახალი სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება;
- ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში გეომონაცემთა ბაზის შექმნის პირველი მცდელობა;
- ქართული ლინგვოკულტურული სივრცის დახასიათება;
- ეთნიკურ უმცირესობათათვის ბილინგვური განათლების კონცეფციის შექმნა და ასე შემდეგ!



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სულ ცოტა ხნის წინათ ჩატარდა სტიპენდიატთა არჩევნები, რომლის თანახმად, მეცნიერებათა აკადემიას ცხრა (სამეცნიერო განყოფილებების შესაბამისად) სტიპენდიატი ჰყავს, ეს აკადემიისთვის უპრეცედენტო შემთხვევაა; კანონში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ შეტანილი ცვლილების მიხედვით, — აკადემიის სტიპენდიატად შეიძლება აირჩეს საქართველოში მოღვაწე დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია და მისი ასაკი არ აღემატება 50 წელს; პირი აკადემიის სტიპენდიატად აირჩევა 5 წლის ვადით. ვფიქრობთ, მკითხველისთვის უდავოდ საინტერესო იქნება თანამედროვე ქართულ მეცნიერებაზე ამ ახალგაზრდა მეცნიერთა ხედვის, მათი სამომავლო გეგმების და პრიორიტეტების გაცნობა; ამისთვის, მათ სამი შეკითხვა დავუსვით:

— თქვენ ახლახან აგირჩიეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატად, რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინი ამასთან დაკავშირებით?

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი შემდგომი თანამშრომლობა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან?

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები?

ალექსანდრე მესხი

(მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება; სპეციალობა — ფიზიკა):

— კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემები ყველასთვის იყო ხელმისაწვდომი, კენჭისყრამდე მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში კანდიდატებმა მოხსენებები წაიკითხეს, სადაც წარმოადგინეს თავიანთი სამეცნიერო მიღწევები, ამდენად კენჭისყრის შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა.

— სტიპენდიატებმა აკადემიაში სულ მცირე, წელიწადში ერთხელ უნდა წარმოადგინონ ანგარიში თავიანთი სამეცნიერო საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ. მეცნიერებათა აკადემიის წევრებს პერიოდულად მიაწოდონ ინფორმაცია უახლესი აღმოჩენებისა და მიღწევების შესახებ, მონაწილეობა მიიღონ განყოფილებების სამეცნიერო ღონისძიებებში.

— მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატობა კარგი სტიმულია ჩემთვის, განვაგრძო სამეცნიერო საქმიანობა სამშობლოში, თუმცა ვაპირებ აქტიურად ჩავერთო საერთაშორისო აქტივობებში, რაც გულისხმობს სტატიებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნებას საერთაშორისო გამომცემლობებში, ჩართულობას სამეცნიერო პროექტებში და ა. შ.

ლევან ტიელიძე

(დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება, სპეციალობა — გეოგრაფია):

— ფაქტია, რომ საქართველოში მეცნიერების განვითარებას ჯერჯერობით სათანადო ყურადღება არ ექცევა, რაც ძალიან სამწუხაროა. სამეცნიერო ინსტიტუტების საბიუჯეტო დაფინანსება იმდენად მცირეა, რომ დამატებითი დაფინანსების გარეშე სერიოზულ სამეცნიერო კვლევაზე საუბარიც კი ზედმეტია. შესაბამისად, როდესაც სტიპენდიატების კონკურსის შესახებ შევიტყვე, ძალიან გამიხარდა, რადგან ეს პროგრამა არა მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერთა ფინანსურ წახალისებას გულისხმობდა, არამედ სახელმწიფოს და აკადემიის მხრიდან მეცნიერთა მორალურ მხარდაჭერასაც.

— მიმაჩნია, რომ მეცნიერებათა აკადემიასთან ახალგაზრდა, წარმატებული მეცნიერების თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია და ამ კუთხით ჩემი ურთიერთობაც დადებითად წარიმართება. საქართველოში მეცნიერების ზოგიერთ დარგში მეცნიერთა შორის საკმაოდ დიდი ასაკობრივი სხვაობაა, რაც თობათა შორის წყვეტის საფრთხეს ქმნის. შესაბამისად ვფიქრობ, რომ უფროსი თაობის მეცნიერებმა ახალგაზრდა თაობას უფრო მეტი გასაქანი და შესაძლებლობა უნდა მისცენ. მოხარული ვიქნები, თუ აკადემიაში მსგავსი იდეოლოგიით გამსჭვალული ბევრი მეცნიერი დაგვხვდება.

— ამჟამად ვმუშაობ მყინვარების ახალ ინვენტარიზაციაზე, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის და აზერბაიჯანის კავკასიონსაც მოიცავს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში რამდენიმე თვით მივემგზავრები კანადაში, კერძოდ, ჩრდილოეთ ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტში, კავკასიონის სრული ინვენტარიზაცია ბოლო ნახევარი საუკუნეა არ ჩატარებულა და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული სამუშაოები საქართველოში, კერძოდ კი გეოგრაფიის ინსტიტუტში სრულდება.

მნიშვნელოვანია, რომ მყინვარების კვლევას საქართველოში კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს. სამომავლოდ ვგეგმავთ, რომ მყინვარების კვლევის მეთოდოლოგია კიდევ უფრო დავხვეწოთ და ქვეყნისთვის პრიორიტეტული გავხადოთ.

გაიოზ ფარცხალაძე

(გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება; სპეციალობა — გამოყენებითი მექანიკა-კატასტროფების რისკი):

— მინდა, გითხრათ, რომ გამოყენებითი მექანიკა-კატასტროფების რისკის კვლევის პოზიციაზე სტიპენდიატად ჩემი არჩევა არის უაღრესად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე; ვარ 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 3 ქართული სახელ-

მწძღვანელოსა და გამოგონებაზე პატენტების ავტორი. ვმუშაობ სხვადასხვა სამეცნიერო თემებზე, როგორებიცაა: „ღეროვანი სისტემის მდგრადობის პრობლემები მასალის მუშაობის დრეკად-პლასტიკურ არეში“, „ტრასფორმირებადი კონსტრუქციები“, „ქარის ენერგეტიკული დანადგარები“ და სხვ.

— მეცნიერებათა აკადემიაში ჩემი ძირითადი საქმიანობა იქნება სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავება და კატასტროფების რისკების პრევენციისთვის საერთაშორისო სტრატეგიულ ჩარჩო-აქტივობებთან (მაგ. სენდაის ჩარჩო დოკუმენტი) დაახლოება. ასევე, კატასტროფების რისკების შემცირება სხვა მიმართულებითაც და სხვ.

— რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გამოწვევების შესაბამისად შევეცდები, მოვამზადო სამეცნიერო კვლევები კატასტროფების რისკების შემცირების მიმართულებით და გავუწიო რეკომენდაციები შესაბამის დაინტერესებულ ორგანიზაციებს პარტნიორ უცხოელ კოლეგებთან ერთად.

ალექსანდრე სხირტლაძე

(ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება; სპეციალობა — ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები):

— მოლოდინი ნამდვილად მქონდა და გამიმართლა კიდეც. კონკურსანტების მო-

ნაცემების საჯაროობამ კი არჩევნების სრული გამჭვირვალობა განაპირობა.

— ჩემი თანამშრომლობა აკადემიასთან უკვე მეშვიდე წელია, გრძელდება, რაც გამოიხატება ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების დარგობრივი კომისიების — ფარმაკოქიმიის და — ორგანული ქიმიის მიერ ჩატარებული კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტში მონაწილეობით. ასევე, 2014 წლიდან გახლავართ აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა წაბჭოს წევრი და პირველი თავმჯდომარე. ვაპირებ, კიდევ უფრო გავაფართოვო მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობა, მაქსიმალურად ვეცდები, მჭიდროდ ჩავერთო ჩვენი განყოფილების საქმიანობაში, განსაკუთრებით — ფარმაკოქიმიის მიმართულებით.

— ჩემი ძირითადი პრიორიტეტი იქნება სტუდენტებთან ახლო ურთიერთობა, მათი მეცნიერებაში მოზიდვის მიზნით, რაც გამოიხატება კონფერენციების, საჯარო ლექციების და სხვა აქტივობით, რათა სტიპენდიატების მომავალ არჩევნებზე ბევრად მეტი პრეტენდენტი იყოს.

ია ფიფია

(ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება, სპეციალობა — ბიოლოგია):

— სტიპენდიატად არჩევა ჩემთვის დიდი პატივია, ეს დამატებითი სტიმულია, განვითარდე და კიდევ უფრო უკეთ აკეთო საქმე, რომელსაც წლებია, ემსახურები.

— საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფის წევრი გახლავართ, რომელიც აკადემიკოს თენგიზ ბერიძის ხელმძღვანელობით თანამედროვე, გენომზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით, ქართული ვაზის გენეტიკურ მრავალფეროვნებასა და ზოგადად, ქართული ვაზის მნიშვნელობას სწავლობს მსოფლიო მევენახეობის ისტორიაში. საქართველოსთვის აღნიშნული კვლევა განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა. აკადემიასთან თანამშრომლობა ხსენებული კვლევების უახლესი შედეგე-

ბის და მიღწევების აკადემიისათვის გაცნობის და გამოცდილი, ღვაწლმოსილი მეცნიერების რჩევების გაზიარების კუთხით მესახება, რაც ვფიქრობ, კვლევების შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

— სამეცნიერო-კვლევითი კუთხით, უახლოეს მომავალში დაგეგმილი მაქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და ახალი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება. ამას გარდა, ჩართული ვარ სასწავლო პროცესში, ვკითხულობ ლექციებს. სტუდენტებთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ განათლებული ახალი თაობა ქვეყნის მომავალია.

ნატო დარჩია

(ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება; სპეციალობა — ფიზიოლოგია):

— საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატთა კონკურსში ძალიან ბევრი ნიჭიერი მეცნიერი იღებდა მონაწილეობას. ჩემთვის დიდი პატივია ამ მნიშვნელოვან კონკურსში გამარჯვება.

— მიმაჩნია, რომ ნებისმიერი დარგის სპეციალისტისათვის, ძალზე სასარგებლო და მნიშვნელოვანია მეცნიერული კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა დიდი სამეცნიერო-საგანმანათლებლო გამოცდილების მქონე ღვაწლმოსილ მეცნიერებთან. შესაბამისად, მეცნიერებათა აკადემიასთან ჩემი მომავალი თანამშრომლობა ვფიქრობ, ძალზე ნაყოფიერ ფორმატში წარიმართება.

— ჩემს სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, გავაგრძელებ სამეცნიერო-აკადემიურ მოღვაწეობას, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობას და სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობას, მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში.

ირმა ინაშვილი

(სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება; სპეციალობა — აგროინჟინერია):

— კონკურსის შედეგად არჩეული ვარ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატად სოფლის მეურნეობის განყოფილებაში, რაც ჩემთვის დიდი პატივია. ვთვლი, რომ კონკურსი სამართლიანად და გამჭვირველად ჩატარდა.

— ვაპირებ, მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობა მქონდეს მეცნიერებათა აკადემიასთან, ვინაიდან აკადემიაში წარმოდგენილ მეცნიერებს აქვთ საქმის ღრმა ცოდნა და დიდი გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად დამეხმარება სამომავლო კვლევების ჩატარებაში და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაში.

— როგორც მოგეხსენებათ, საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, ამ ტერიტორიაზე მიწის სავარგულები გამუდმებულ ცვალებადობას განიცდის, სავარგულების სტრუქტურას და მათი ხარისხის ტრანსფორმაციას განაპირობებს ახალი მიწების ათვისება, აქტიური მელიორაციული ღონისძიებები და სხვა. ამასთან, ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენები იწვევენ სავარგულების ფართობების შემცირებას და მიწის ფონდის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუარესებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს: ნიადაგ-გრუნტების წყლისმიერი ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენების კვლევა; მორწყვის თანამედროვე ტექნო-

ლოგიების ადაპტირება ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით და სხვა.

ბუბა კუდავა

(საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; სპეციალობა — ისტორია):

— სხვადასხვა სახის კონკურსში ხშირად მიმიღია მონაწილეობა. ცხადია, ყოველი მონაწილეობა თავისთავად გულისხმობს გარკვეულ მოლოდინს. კონკურსი კი იმისაა, რომ შედეგი მოლოდინზე არ არის დამოკიდებული. არაერთხელ დავმარცხებულვარ კიდეც, თუმცა, ეს ცხოვრების თანამდევია. ყოველი დამარცხება ხომ მომდევნო გამარჯვებისთვის გამზადებს.

— სტიპენდიატად არჩევა, ვფიქრობ, აკადემიის წევრებთან უფრო ახლო საქმიანი ურთიერთობის შესაძლებლობას მომცემს, რაც ძალზე წაადგება ჩემს სამეცნიერო საქმიანობას, მეორე მხრივ, ბუნებით აქტიური ადამიანი ვარ და ალბათ მეც შევძლებ, გარკვეული სარგებლობა მოვუტანო აკადემიას.

— სულ მალე დასრულდება ჩემი ხელმძღვანელობით მიმდინარე პროექტი ტაოკლარჯეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ერთიანი მონაცემთა ბაზა და ელექტრონული რუკა. ეს ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გეომონაცემთა ბაზის შექმნის პირველი მცდელობაა. შემდგომ გეგმებში შედის საისტორიო მეცნიერების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცი-

ლებელი ანალოგიური ბაზების შექმნაზე ზრუნვა, სამეცნიერო ექსპედიციების გაგრძელება ტაო-კლარჯეთში, მონაცემთა დამუშავება; ვაგრძელებთ ასევე ძველი ქართული სამწიგნობრო კერების (ხელნაწერთა გადაწერისა და დაცულობის ადგილების) გეომონაცემთა ბაზაზე მუშაობას.

სალომე ომიაძე

(ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, სპეციალობა — ენა):

— კონკურსში მონაწილეობა სტიპენდიატობის კანდიდატთა შეფასების დადგენილმა კრიტერიუმებმა გადამაწყვეტინა. მოხარული ვარ, რომ ასეთივე აღმოჩნდა აკადემიის წევრთა შეფასებაც და დღეს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების სტიპენდიატი ვარ.

— სახელმწიფო ენაზე ზრუნვასა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის სრულყოფის მიმართულებით ვფიქრობ არსებულ საქმიანობაში ჩართვას და გარკვეული ახალი პროექტების შეთავაზებას.

— ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ აქტუალური გახადა ადამიანის ფენომენის ახსნა, სამყაროსთან და საკუთარ თავთან მისი მიმართების კვლევა. ის ცოდნა, რომელიც ქართველ კაცს ადამიანის შესახებ აქვს, მთლიანად ასახულია ლექსიკურ მნიშვნელობებში. ამ მნიშვნელობათა არცთუ მცირე ნაწილს უსათუოდ აქვს ეროვნულ სპეციფიკური ხასიათი, რაც ქართულის შინაარსობრივ სხვაობას ავლენს, და, შესაბამისად, კონცეპტთა ინდივიდუალობას განაპირობებს. ჩვენი კვლევის ერთი მიმართულება კვლავ იქნება ეროვნული კონცეპტოსფეროს შემადგენელთა გამოვლენა და აღწერა, ქართული ლინგვოკულტურული სივრცის დახასიათება. ასევე გავაგრძელებთ ქართული ენის სტილისტიკისა და პრაგმატიკის საკითხების კვლევას, სახელდობრ, კომუნიკაციური სტრატეგიების შეს-

წავლას; ასევე, — „აქტუალურ ლინგვისტური ცნება-ტერმინთა ლექსიკონზე“ მუშაობას და ეთნიკურ უმცირესობათა სკოლამდელი აღზრდის საფეხურისთვის ბილინგვური განათლების კონცეფციის შექმნას.

სტიპენდიატებს ესაუბრა

ნათია ვადაჭკორია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესსამსახური.

35 მეტრი ენგურჰესზე ქვეყნიერების დასასრულამდე

ბოლო დღეებში აფხაზურ ინტერნეტ-თანამეგობრობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ენგურჰესის ტექნიკურ დირექტორ გია ხუბუას განცხადებამ იმის შესახებ, რომ უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ელექტროსადგურის წყალსაცავში იმდენი წყალი დაიხარჯა, რომ მისი დონე დღე-ღამეში 1,5 მეტრით შემცირდა და ზღვის დონიდან 453 მეტრზეა, კრიტიკულ ზღვრამდე კი სულ რაღაც 35 მეტრი რჩება. ამ ზღვრის გადალახვის შემდეგ ენგურჰესი აფხაზეთის ენერგომომარაგებას



ველარ შეძლებს. **„ეს მოხდება,** — დააზუსტა ხუბუამ, — **თუ გავაგრძელებთ წყლის იმავე ტემპებით ხარჯვას: ასეთ შემთხვევაში თებერვლის მეორე ნახევარში წყალი აღარ დარჩება და ელექტროენერგიის რუსეთიდან შესყიდვა მოგვიწევს“.**

გაჩნდა პანიკის ელემენტების შემცველი კომენტარები: **„ჰოდა გამოვფხიზლდებით, როდესაც რუსული ტარიფებით გვაიძულებენ გადახდას!“.**

„ეხო კავკაზას“ მუდმივი სოხუმელი მიმომხილველი ვიტალი შარია მოსახლეობის დამშვიდებას მასალაში სათაურით „35 მეტრი ენგურჰესზე ქვეყნიერების დასასრულამდე“ და წერს:

„...ჯერ ერთი, თებერვალში ენგურჰესის მინიმუმ, 15-20 დღე-ღამით გეგმიური გაჩერება სარემონტო სამუშაოებისთვის დერივაციული არხის მდგომარეობის შესასწავლად ნებისმიერ შემთხვევაში განხორციელდებოდა. და უკვე გასული წლის ბოლოს წარმოებდა მოლაპარაკებები აფხაზ, ქართველ და რუს ენერგეტიკოსებს შორის იმის შესახებ, რომ აფხაზეთი იმ მომენტში ელექტროენერგიის რუსეთისგან მიღებას დაიწყებდა. მეორეც, ვინაიდან ენერგოსისტემები საბჭოთა დროიდან გადაჯაჭვულია, აფხაზ მომხმარებელს არ მოუწევს გადახდა რუსული ტარიფებით, რომელიც აფხაზურს რამდენჯერმე აღემატება: ენერგია ვალად იქნება აღებული და მის საფასურს სხვა დროს გაისტუმრებენ. სხვათა შორის, აფხაზეთის მთავარმა ენერგეტიკოსმა თქვა, რომ წყლის დონე ჯვრის წყალსაცავში 465 მეტრს შეადგენს, ანუ წინა პერიოდთან შედარებით, 6 მეტრით ნაკლებს. ანუ, 28 დეკემბრიდან გასული რამდენიმე კვირის განმავლობაში იგი მხოლოდ 12 მეტრით შემცირდა. შესაძლოა, საქმე იმაშია, რომ იანვარი აფხაზეთში უფრო თბილი აღმოჩნდა, ვიდრე გასული წლის დეკემბერი, რაც მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობასა და წყალსაცავიდან მოხმარებული წყლის ოდენობაზე აისახა“.

„ამავე დროს, — აგრძელებს შარია, — **მშვენივრად მესმის გია ხუბუასი, რომელიც ინტერვიუში მოვლენათა განვითარების ყველაზე უარეს ვარიანტს განიხილავდა, კერძოდ, ამბობდა, რომ რუსეთიდან გადმოქაჩვის ორგანიზება ჯერ კიდევ ენგურჰესის გეგმიურ გაჩერებამდე იქნებოდა აუცილებელი, რათა მომხმარებელს ეკონომიის განწყობა გასჩენოდა: საიდუმლო ხომ არ არის, რომ ყველაზე დაბალი ფასები, ანუ ენერგოტარიფები აფხაზეთში ბევრ მომხმარებელს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას უღვივებს და ირთვება ბევრი ელექტროხელსაწყო, რომლის ჩართვის საჭიროება იმ მომენტში არ არსებობს. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ათიათასობით აბონენტი ათეულობით წლის განმავლობაში „პრინციპულად“ არ იხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს“.**

ორიოდე დღის წინათ „ჩერნომორენერგომ“ 2016 წელს აფხაზეთის რეგიონების მიხედვით ელექტროენერგიის რეალიზებისა და საფასურის გადახდის მაჩვენებლების ცხრილი გამოაქვეყნა: 12 თვის განმავლობაში აფხაზეთის მასშტაბით მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ 53,6% იქნა გადახდილი. სოხუმში დაახლოებით 519 მლნ რუბლის ღირებულების ელექტროენერგია მოიხმარეს (გადახდამ დაახლოებით 57% შეადგინა), გაგრის რაიონში - 109 მლნ (51,5%), გუდაუთის რაიონში — 74,5 მლნ (58%), გულრიფშის რაიონში — 49 მლნ (59%), ოჩამჩირეს რაიონში — 45 მლნ (40%), გალის რაიონში — 37 (62%), ტყვარჩელის რაიონში — 29 მლნ (44%), სოხუმის რაიონში — 21 მლნ (37%). საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ელექტროენერგიის მთლიანი ოდენობის დაახლოებით მეოთხედი მოიხმარეს, მათ მიერ გადახდის მაჩვენებელმა კი 78,5% შეადგინა, რაც ბევრად უკეთესი მონაცემია, მოსახლეობასთან შედარებით (44,2%). მოსახლეობაში ყველაზე ცუდი გადამხდელები ოჩამჩირლები აღმოჩნდნენ — დავალიანება ადგილობრივთა 70%-ს გააჩნია.

„არ გამიკვირდება, თუ ვინმემ ჯერჯერობით ვერ შეამჩნია კავშირი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდასა და ჯვრის წყალსაცავში წყლის დონეს შორის, რომელიც უპირველესად ნალექის ოდენობაზე, თოვლის დნობის დროულობასა და სხვა მსგავს პირობებზეა დამოკიდებული. განვმარტავ: 100%-იანი ან მასთან მიახლოებული გადახდა შესაძლებლობას გააჩენდა, ენერგომომარაგების მოძველებული სისტემა შეკეთებულიყო და შედეგად მინიმუმამდე შემცირებულიყო ქსელში დანაკარგების ის რაოდენობა, რომელიც ამჟამად ყველა დასაშვებ ზღვარს აჭარბებს. დანაკარგების შემცირების შემდეგ კი მოხმარებადი კილოვატების რაოდენობაც შემცირდებოდა და წყალსაცავიდან მოხმარებული წყლისაც. ამ შემთხვევაში მოვიშორებდით გათიშვების საფრთხეს, რომელიც დამოკლეს მახვილივით ახლაც გვკიდია თავზე და კარგად ახსოვთ აფხაზეთის მაცხოვრებლებს წინა ზამთრიდან“, — დასძენს შარია.

საკრედიტო საცხებში გაცვეული მოქალაქეები

ონლაინ ორგანიზაციები ახალ ლაბირინთებს ხლართავენ

საქართველოში რეგისტრირებული ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების რიცხვი ბანკების რაოდენობას მკვეთრად აღემატება. ქვეყნაში ონლაინ სესხების გაცემით დაკავებულია 41 ორგანიზაცია. ახალმა რეგულაციის შემდეგ ისინი სხვა მიმართულებით გააქტიურდნენ და მომხმარებლებიდან დამატებით თანხის მიღებას აქამდე უცნობი ხერხით ცდილობენ.

ბოლო 2-3 წელია, ონლაინ საკრედიტო კავშირები ბაზარზე მკვეთრად გააქტიურდნენ. მათი რაოდენობა ბოლო დრომდე თვალშისაცემად იზრდებოდა.

წარმოუდგენლად მაღალი საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე, რომელსაც ასეთი საკრედიტო კავშირები აწესებენ, რეგულაციის შემოღება აუცილებელი გახდა და შეზღუდვა იანვრიდან უკვე ამოქმედდა.

„საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი **გიორგი კეპულაძე** ამბობს, რომ ამიერიდან კომპანიებს მოუწევთ, უფრო ფრთხილად მოეკიდნონ მომხმარებლის საფინანსო ისტორიას. მიუხედავად ამისა, შეზღუდვა გამოიწვევს ონლაინ გამსესხებლების რაოდენობის შემცირებას.

„მე ზოგადად თავისუფალი ბაზრის მომხრე ვარ — რაზეც მოთხოვნაა, მიწოდებაც უნდა არსებობდეს, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა ჯდებოდეს ნორმის ფარგლებში. რეგულაცია აუცილებელი იყო და ეს პრაქტიკულადაც დამტკიცდა. საბოლოო ჯამში, შეზღუდვა გამოიწვევს ონლაინ ორგანიზაციიების შემცირებას, რადგან ასეთი წვრილი კომპანიები საბაზრო კონკურენციას ვეღარ გაუძლებენ და მხოლოდ მსხვილი კომპანიები დარჩებიან“, — ამბობს კეპულაძე.

მას შემდეგ, რაც ონლაინ სესხებზე კანონით გათვალისწინებული რეგულაცია შევიდა ძალაში, ამ მომსახურების სასესხო პროცენტი მნიშვნელოვნად შემცირდა. სანაცვლოდ, ამ კომპანიების ნაწილმა, სხვა გზით გადაწყვიტა მოგების გაზრდა და მომხმარებელს ახალი ხაფანგი დაუგო, რომელშიც უკვე არაერთი ადამიანი გაება.

ჯერჯერობით, ასეთი აღმოჩნდა, ერთი ონლაინ სესხების კომპანია, სადაც სესხის აღების შემდეგ მოულოდნელად აღმოაჩენთ, რომ თქვენ ვალდებულება გეკისრებათ რამდენიმე, განსაზღვრული საათის მანძილზე ფილიალში მიიყვანოთ თავდები; წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაოდ სოლიდური ჯარიმა დაგეკისრებათ, რომელიც მთლიანი თანხის 12%-ს შეადგენს.

„აგორამ“ ჩაატარა გამოძიება, რომლის შედეგადაც ეს ინფორმაცია მართლაც დადასტურდა. ჩვენმა ჟურნალისტმა ამ კომპანიისგან საკმაოდ მარტივად აიღო სესხი, თანხის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ კი მას ტექსტური შეტყობინება მიუვიდა, რომელიც მსესხებელს აფრთხილებდა:

„ხელშეკრულების პირობების თანახმად თქვენ გეძლევათ 120 საათი თავდების მოსაყვანად. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგერიცხებათ პირგასამტეხლო“.

„ცხადია, ეს ონლაინ საკრედიტო კომპანიის მიერ დაგეგმილი სრულიად მიზანმიმართული ქმედებაა, რათა მომხმარებლის დაჯარიმების რისკი გაზარდოს და ამით მეტი ფინანსური სარგებელი მიიღოს, რადგან 35-გვერდიან, უწვრილესი შრიფტით აკრეფილ ხელშეკრულებას არავინ წაიკითხავს. სწრაფი სესხებით მოსარგებლე ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა, უბრალოდ, არ ეცნობა მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებს, რომელთა პირობების ცვლილებაზეც მომხმარებლები არიან ინფორმირებულნი.

მით უმეტეს, ადამიანები, რომლებსაც ამ კომპანიასთან თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვთ და სესხი ადრეც აუღიათ, დიდი შანსია, რომ შეცვლილ ხელშეკრულებას არ გაეცნობიან, რადგან არ უჩნდებათ იმის ეჭვი, რომ ამჯერად განსხვავებულ პირობებზე მოუწევთ ხელის მოწერა“, — აცხადებენ „აგორაში“.

გეჟა დანელია

Amendment to Procurement Notice for “Procurement of Repair Services for Akhaltsikhe 63 MVA 400/11/10.5 Transformer for Energotrans Ltd” published in “Sakartvelos Respublika” #242 (8134) on December 27, 2016 (page 9)

Bidding # T02 S01/2016

1. The eighth paragraph of the procurement notice shall be amended and read as follows:

The payment for the actually provided services (as per the Table of prices) will be made in EURO or GEL by bank transfer (using the National Bank of Georgia rate on the date of payment) within 20 working days from the date of signing the Final Acceptance Certificate for completion of repair services and submission of relevant invoice.

2. The tenth paragraph of the procurement notice shall be amended and read as follows:

Price reduction step during Oral trading (reverse Auction) (later “step”) is EUR 5,000.00 (fife thousand). Increase of Bid price is not allowed during the Oral Trading (Reverse Auction). The place for conducting the Oral Trading (Reverse Auction) is: 2, Baratashvili Str., Tbilisi, 0105, Georgia. Office of the Purchaser.

3. The eleventh paragraph of the procurement notice shall be amended and read as follows:

The Bidders shall furnish with their Bid a Bid Security - **Bank Guarantee -** with the validity period of at least by **30 calendar days more** than the validity of the Bid submitted by Bidder. The amount of Bid Security shall be **EUR 15,000.00 (fifteen thousand).**

4. The twelfth paragraph of the procurement notice shall be amended and read as follows:

The Bidder who will be awarded the contract shall furnish a performance security — Bank Guarantee in the amount of 10% of the Total Contract Price.

5. The fifteenth paragraph of the procurement notice shall be amended and read as follows:

Upon submission of document proving the payment of abovementioned non-refundable fee the Bidding Document shall be obtained in the office of “Energotrans” Ltd on the address indicated below from the date of Procurement Notice Publication until February 03, 2017, 18:00.

6. The seventeenth paragraph of the procurement notice shall be amended and read as follows:

Bidders’ Bids and Qualification Information shall be submitted by the Bidders on the address indicated above on or before February 06, 2017, 15:00 local time. The Bids will be opened on February 06, 2017, 15:00 local time in the presence of those Bidders who choose to attend. Late Bids will be rejected.

საბრძოლო ცხენის პოეტური ვნებანი

პოეტური აღმაფრენის უკიდეგანო სივრცეებში მელექსეთა წამგვრელი ფრთოსანი ცხენის – პეგასის ამბავი დიდ-პატარასთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. მუზებთან და მათ ადგილსამყოფელ მთა პარნასთან ერთად, ის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა, მაგრამ რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს თეთრი მფრინავი ბედაური, ვინ და რატომ აჰყავდა უკიდეგანო ზეციურ სივრცეებში, ამის შესახებ, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს.

პეგასის პატრონი ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი გმირი, ჰერაკლეს, თესევსისა და პერსევსის დარი ბელერფონტი იყო. მისი პირველი და ყველაზე ცნობილი გმირობა სამთავიანი ურჩხულის ქიმერის მოკვლაა, რომლის სამივე თავი ცეცხლს აფრქვევდა. ქიმერის დამარცხება ბელერფონტმა თავისი ფრთოსანი ბედაურის დახმარებით შეძლო.

ამის შემდეგ ბელერფონტმა მრისხანე ოლიმები და მათი მოკავშირე ამორძალები დაამარცხა, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს გმირი გაამპარტავნდა და თავი ღმერთების დარად ჩათვალა, მათთან ოლიმპოზე ასვლა და იქ ადგილის დამკვიდრება მოისურვა. ასეთი „ძმაბიჭობა“, ცხადია, ზევსს არ ეჭაშნიკა და მან ბელერფონტს კრაზანა მიუჩინა, რომელმაც ცხენი კუდქვეშ დანესტრა, ის ყალყზე დადგა და ბელერფონტი ძირს გადმოაგდო, რის შედეგადაც იგი დასახიჩრდა, თვალისჩინი დაკარგა და ასე გასაცოდავებულმა დალია სული. პეგასი კი ოლიმპოზე აიჭრა და ზევს-ნალმმტყორცნელის ელვების ზიდვა დაიწყო.

მეცნიერები იმ გარემოებას აქცევენ ყურადღებას, რომ არც ბელერფონტამდე, არც მის შემდეგ, პოეტების პეგასით ფრენები ძველ-ბერძნულ მითებში აღწერილი არ არის. აღსანიშნავია, რომ ანტიკურ ხანაში პოეტების მფარველები მთავარი ღმერთის ზევსისა და მეხსიერების ქალღმერთის მნემოზინას ქალიშვილები იყვნენ. ამ ცხრა დიდან ექვსი უშუალოდ პოეზიასთან იყო დაკავშირებული: კალიოპა იყო ეპიკური პოეზიის მუზა, ევტერპა – ლირიკულის, ერატო – სასიყვარულო სიმღერების, პოლიჰიმნია – წმინდა ჰიმნების, მელპომენა და ტალია კი, შესაბამისად, ტრაგედიებისა და კომედიების ავტორებს მფარველობდნენ, რომლებსაც იმ დროს ასევე პოეზიის ჟანრს მიაკუთვნებდნენ. პოეზიასთან პეგასის ერთადერთი კავშირი კი ჰელიკონის მთაზე ეგრეთ წოდებული ცხენის წყარო – ჰიპოკრენა – იყო, რომელმაც მიწაზე მისი ფლოქვის დარტყმის შედეგად ამოხეთქა და რომელთანაც მუზები მხიარულობდნენ. მეტიც: მუზების ანტიკურ მსახურებს, როგორც ჩანს, პეგასის ეშინოდათ კიდეც.

თავისი შთაგონების მფარველად პოეტებმა პეგასი უკვე აღორძინების ხანაში აირჩიეს, თუმცა კი ვინ იყო ამ საქმეში პირველი, დღესდღეობით უცნობია. გაცილებით საინტერესოა სხვა გარემოება: ჯადოსნური საბრძოლო რაში, რომლის ფლოქვის დაკვრით მიწიდან წყარო ამოხეთქავს, უნიკალური სახეა ევროპულ ფოლკლორში. მეტიც: იგი რეალურ ისტორიაშიც შეიჭრა: ლეგენდით, იმპერატორ კარლოს დიდის ცხენმა მეომართათვის წყურვილის მოსაკლავად ფლოქვის დაკვრით წყარო გლისბორნი გააჩინა, რომელიც გერმანიის მთებში ახლაც გადმოედინება და წმინდად ითვლება.

შავი კატის სინდრომი



სტატისტიკური მონაცემებით დედამიწის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი ცრუმორწმუნეა და ათასნაირი ნიშნის, ჰოროსკოპის, მარჩიელობისა და მსგავსი მისტიკის სჯერა, თუმცა კი, ცხადია, სხვადასხვა დოზით.



ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ცრურწმენა ადამიანის განათლების დონეზე დამოკიდებული არ არის, სამაგიეროდ ამ შემთხვევაში წინა პლანზე... სქესი გამოდის: აღმოჩნდა, რომ ქალბატონებს მამაკაცებზე გაცილებით უფრო მეტად სჯერათ ზებუნებრივი ძალებისა. თანაც, ასაკის მატებასთან ერთად, ცუდი თუ ავი მინიშნებების რწმენა სულ უფრო მეტად მატულობს.

ზოგადად თუ ვიტყვით, არ შეიძლება ცრურწმენებს წარსულის გადმონაშთი ვუწოდოთ, რადგან ისინი მუდამ არსებობდნენ, ახლაც არიან და, როგორც ჩანს, მომავალშიც იქნებიან. ამასთან, გასაგებია, რომ პირველყოფილ ადამიანებს, რომლებიც სავსებით იყვნენ დამოკიდებულნი ბუნების ჭირვეულობაზე, ათასგვარი ნიშნისა ეშინოდათ, მაგრამ, მაინც რატომაა, ვთქვათ, თანამედროვე განათლებული, დიდი ნებისყოფის მქონე, საკუთარი ემოციების კონტროლის გამწევი ადამიანები სხვადასხვა ცრურწმენებით რომ არიან შეპყრობილნი? ფსიქოლოგები ამას იმით ხსნიან, რომ საკუთარი ემოციების სრულად გაკონტროლება არც თანამედროვე ადამიანს შეუძლია: პროგრესის ყველა მიღწევის მიუხედავად, ცხოვრება კვლავინდებურად იდუმალი და გამოცანებით აღსავსე რჩება, რაც ბევრში განგაშის ქვეცნობიერ გრძნობას იწვევს. გარკვეული რიტუალები კი ნერვული დაძაბულობის თუნდაც ნაწილობრივ მოხსნის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, თუკი ღამე სახლიდან ნაგავი არ გაიტანეთ, გული საგულეს გაქვთ – ესე იგი არც ფული წავა ოჯახიდან, გზიდან მობრუნება მოგიწიათ და სარკეში ჩაიხედეთ, ისევ გულს მოგეშვათ – გზაში ცუდი არაფერი დაგემართებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცრურწმენა უამრავ ვითარებაზე ნაწილობრივი კონტროლის დაწესების ილუზიას გვიქმნის, რაც უსაფრთხოების შეგძნებას გვიძლიერებს.

მაგრამ, ერთია გარკვეული წესების დაცვა და სულ სხვაა ყველა ცრურწმენას ერთიანად აყოლა, რის შედეგად მთელი ცხოვრება გარკვეული რიტუალების უსასრულო ჯაჭვად განგაშის გრძნობა კი მუდმივ მეგზურად გვექცევა. ამიტომაც, მის მოსაცილებლად ფსიქოლოგები სხვა, გაცილებით საიმედო და ქმედითი ხერხების გამოყენებას გვირჩევენ – ესენია კარგად გამოძინება, სუფთა ჰაერზე სეირნობა, საინტერესო ადამიანებთან მეტი ურთიერთობა, ჰობის გაჩენა.

ძალიან კარგი იქნება, თუკი ცრურწმენას გარკვეული იუმორით მიუდგებით, რადგან მრავალი უწინ „უტყუარი“ ნიშანი დღესდღეობით აშკარად „დრომოჭმულია“. აბა, რომელი ჭკუათამყოფელი ადამიანი დაიჯერებს იმას, რომ კვირადღეს... თავის დაბანა იმიტომ არ შეიძლება რომ... შაკიკი შეგეყრებათ, სურდოს მოსარჩენად საჭიროა... ვიღაცისთვის ფეხსაცმლის ჩასაფენის მოპარვა (!). მისი დაწვა და დამწვრის სუნის შესუნთქვა (!!) რადიკულიტის პროფილაქტიკისთვის კი აუცილებელია შიშველი ზურგის... ხის ღობეზე ხახუნი (!!!).

ამიტომაც, თუკი მორწმუნე ადამიანი ბრძანდებით, უმჯობესია, მღვდელს დაელაპარაკოთ – ცრურწმენა ყველა რელიგიაში ცოდვად ითვლება. თანაც საკუთარი ცოდნის ხარვეზების ამოვსება სცადეთ – ჩვენ ყოველთვის ის უფრო მეტად გვაწუხებს, რის შესახებ ან არაფერი ვიცით, ანდა რაღაც არ გვესმის.

◎ სენსაცია

თანამედროვე კომპიუტერების წინაპარი

ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲘ დარწმუნებულები ვართ, რომ პირველი კომპიუტერი არც თუ დიდი ხნის წინათ გაჩნდა. არადა, არსებობს ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნით დათარიღებული მექანიზმი, რომელიც სინამდვილეში... პირველ კომპიუტერულ მოწყობილობას წარმოადგენს! იგი არქეოლოგებმა ზღვაში ჩაძირული ძველბერძნულ ხომალდზე ნახეს. ეს „ანტიკიფერულ მექანიზმად“ წოდებული მოწყობილობა ერთდროულად გამოთვლით მანქანას და... სატვირთო ამწეს ჰგავს!

დღესდღეობით სამშენებლო ამწეები ყველა ობიექტზეა, ინდუსტრიულად განვითარებული ქალაქების მცხოვრებთა უმრავლესობამ კი კომპიუტერულ ტექნიკასთან მოპყრობა იცის. მაგრამ, რაოდენ ძნელი წარმოსადგენია, რომ იგივეს გაკეთება ძველ ბერძნებსაც შეეძლოთ. „ანტიკიფერული მექანიზმის“ შესწავლის შემდეგ, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბერძენი სწავლულების მიერ ორ ათას წელზე მეტი ხნის წინათ დაპროექტებული მოწყობილობა კვლავაც მუშაობს! ამ მსოფლიოში პირველ კომპიუტერს ძველი მეცნიერები მზის ციკლებისა და პლანეტების მოძრაობით ტრაექტორიის გასაანგარიშებლად იყენებდნენ.

აღმოჩენილი არტეფაქტის შესახებ ზუსტი მონაცემების მიღებას ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უშლის ხელს. საქმე ის არის, რომ მექანიზმი ფრაგმენტების სახითაა ნაპოვნი, ნაწილ-ნაწილ მეცნიერებმა ის ოცდაათი ელემენტიდან ააწყეს. ეჭვგარეშეა, რომ რაღაც ნაწილები დაკარგულია, ამიტომაც ხელსაწყოს წარმავლობა უდიდეს გამოცანად რჩება. თუმცა კი ზოგი რამის გაგება მეცნიერებმა რენტგენული კვლევებით შეძლეს. მაგალითად, დადგინდა, რომ ბერძნებმა ეს მექანიზმი სხვებზე გაცილებით ადრე შექმნეს და მისი ტექნიკური მახასიათებლები იმ ხანისათვის ფანტასტიკის დონეზეა.

ამჟამად ანტიკვარული მექანიზმი მეცნიერთათვის უდიდეს გამოცანას წარმოადგენს. საბერძნეთის სამეცნიერო ინსტიტუტს კომპიუტერის პანელის გამოკვლევა დაავალეს, რომელზეც ჩვენთვის ნაცნობი ზოდიაქოს ნიშნებია გამოსახული. ასევე არის ეგვიპტური კალენდარი, რის საფუძველზეც მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ძველ ბერძნებს მზის დაბნელებების წინასწარმეტყველება შეეძლოთ.

ვინ იცის, იქნებ ცნობილი ძველი ქურუმები არა ფრინველთა ფრენით მარჩიელობდნენ, არამედ საამისოდ მათზე გაცილებით ძველი და განვითარებული ცივილიზაციის მიერ შექმნილ საიდუმლო კომპიუტერს ხმარობდნენ?

ვინ იცის...

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

◎ ჭადრაკი

ეროვნულს ორი ხელისუფალი ჰყავს



სხვადასხვა კუთხის 10 წარმომადგენელი მონაწილეობს მოჭადრაკე ვაჟთა 76-ე ეროვნულ ჩემპიონატში (საპრიზო ფონდი 20.500 ლარი, საიდანაც გამარჯვებული 7.500 ლარით დაჯილდოვდება), რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს წრიული სისტემით გამართული ორთაბრძოლები გამოავლენს. უკვე გათამაშდა მე-4 ტური, რომელშიც ხუთი ორთაბრძოლიდან მხოლოდ ორი აღმოჩნდა შედეგიანი: გიგა ყუფარაძემ თეთრი ფიგურებით კონსტანტინე შანავას აჯობა. ეს შანავასთვის ზედიზედ მეოთხე წაგება იყო. ლუკა პაიჭაძემ, ასევე, თეთრებით ლევან ფანცულაიას სძლია. დაზავდნენ: თორნიკე სანიკიძე-ირაკლი ბერაძე, დავით ჯოჯუა-მიხეილ მჭედლიშვილი, დავით არუთინიანი-მერაბ გაგუნაშვილი.

ოთხი ტურის შემდეგ: ლუკა პაიჭაძე, მიხეილ მჭედლიშვილი-3-3, თორნიკე სანიკიძე, დავით ჯოჯუა, გიგა ყუფარაძე, ირაკლი ბერაძე-2.5-2.5, დავით არუთინიანი-2, ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი-1-1, კონსტანტინე შანავა-0 ქულა.

ლექსო ციწცაძე

◎ წყალბურთი

ცვლილებები წლეულსვე იგეგმება

ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის წყალბურთის კომიტეტის წევრები (შარშან ამ ორგანიზაციის წევრად აირჩიეს საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ბითაძე) საქართველოს დედაქალაქს ესტუმრნენ და კომიტეტის (თავმჯდომარე იტალიელი ჯანი ლონცი) სხდომა გამართეს, მანამდე კი 2000-2001 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა და გოგონათა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირების წილისყრა მოეწყო. საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი რევაზ ჩომახიძე) D ჯგუფში მოხვდა და ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის საფრანგეთს, შვეიცარიას, ჩეხეთსა და კვიპროსს გაუწევს მეტოქეობას. ამ ჯგუფის მატჩებს 11-14 მაისს თბილისის „ოლიმპიკის“ აუზი უმასპინძლებს.

კომიტეტის სხდომაზე ილაპარაკეს წყალბურთის წესებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. სულ ხუთ მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს. ესენია: I. მეტოქის მიერ ბურთის ფლობის 30-დან 25 წამამდე შემცირება, II. 20-წამიანი გაძევების 5 წამით შემცირება. ამით რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება უფრო დინამიური გახდება, III. კუთხურიდან ბურთის შემოტანის შემთხვევაში შემტევი გუნდისთვის 30-ის ნაცვლად 15 წამის მიცემა, IV. მატჩის განმავლობაში ტაიმ-აუტების ლიმიტის ოთხიდან ორამდე შემცირება, V. მეორე და მესამე პერიოდებს შორის 5-წუთიანი შესვენების 3 წუთამდე დაყვანა. ყველაფერი ეს საიმისოდ კეთდება, რომ წყალბურთი უფრო დინამიური გახდეს. ამ საკითხებს ივლისში საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი განიხილავს.

ლაშა დიდია

◎ პროექტი

„ოლდ ტრაფორდს“ აფართოებენ

„მანჩესტერ იუნაიტედი“ საშინაო არენის — „ოლდ ტრაფორდის“ ტევადობის 12-ათასი ადგილით გაზრდას გეგმავს.

Daily mail-ის ცნობით, რეკონსტრუქციის ძირითადი ნაწილი სერ ბობი ჩარლტონის სახელობის ტრიბუნას შეეხება და მას 7500 ადგილი დაემატება.

პროექტის განხორციელების შემდეგ „ოლდ ტრაფორდის“ ტევადობა 88 ათას მაყურებლამდე გაიზრდება, რაც საკლუბო დონეზე ევროპაში მეორე მაჩვენებელია. პირველ ადგილზე „ბარსელონას“ „კამპ ნოუა“, რომლის ტრიბუნები 99 354 მაყურებელს იტევს. დღესდღეობით მეორე ადგილზე მადრიდის „რეალის“ სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუა“ (85 454).

ლონდონის „უემბლის“ სტადიონი 90 ათას მაყურებელს იტევს, თუმცა, ის უმთავრესად სანაკრებო შეხვედრებისთვისაა განკუთვნილი.

გიორგი შოთაძე

გუგა წვერავა — პირველი მორაგბე აშშ-ში პროფესიული კონტრაქტით

27 წლის პირველხაზელი გუგა წვერავა პირველი ქართველი მორაგბეა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების კლუბთან პროფესიული კონტრაქტი გააფორმა.

ის უკვე ორი სეზონია, კოლორადოს შტატის „გლენდეილ რეპტორზის“ (Glendale Raptors) ღირსებას იცავს და აშშ-ის ჩემპიონი ორჯერ გახდა, თუმცა, აქამდე ნახევრადპროფესიული კონტრაქტი ჰქონდა. წვერავამ საკუთარი შრომითა და გარჯით ოკეანისგაღმელთა დიდი პატივისცემა დაიმსახურა და პროფესიულ კონტრაქტთან ერთად გუნდის მთავარი მწვრთნელისგან, სამხრეთაფრიკელ ანდრე სნიმანისგან საუკეთესო დახასიათება მიიღო:

„ქართველი პირველხაზელი გიორგი წვერავა უკვე ორი სეზონია, ჩვენს გუნდში თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური არცთუ კარგად იცის, დადებითი ხასიათის წყალობით მან თანაგუნდელებში უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა. ის ძალიან კარგი პიროვნება და შესანიშნავი პირველხაზელია, არასდროს იხევს უკან და ყოველთვის აკეთებს იმას, რისი დანახვაც მსურს. ერთი სიამოვნებაა მისი მოედანზე ხილვა, როდესაც ხელთ ბურთი უპყრია და მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ იკაფავს გზას. წვერავა რაგბის სიყვარულით თამაშობს და ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ეს უმნიშვნელოვანესია. მე ყოველთვის მაქვს მისი იმედი და რაგბიში ყველა ოცნების განხორციელებას ვუსურვებ“, - ასეთია დახასიათება იმ მწვრთნელისგან, რომელსაც სამხრეთ აფრიკის ნაკრების შემადგენლობაში 42 თამაში ჩაუტარებია და 10 ლელო გაუტანია, ხოლო სუპერ რაგბიში „ბულზისა“ და „შარქის“ შემადგენლობაში უთამაშია.

თუ რა გზა გაიარა წვერავამ ამერიკამდე და პროფესიულ კონტრაქტამდე, ამის შესახებ თავად მორაგბე გვიყვება:

— რაგბის თამაში 2006 წელს 16 წლისამ დავიწყე და ორი წელი თბილისის „ყოჩებში“ გავატარე, რომლის შემადგენლობაშიც ჭაბუკთა „ა“ ლიგაში და პირველ ლიგაში გამოვდიოდი. შემდეგი 4 წელიწადი პირველი ლიგის კლუბ „ხულიგანაში“ ვიასპარეზე და ეს გუნდი ჩემთვის სიცოცხლის ბოლომდე განსაკუთრებული იქნება. მაქვს სურვილი და დიდი იმედი, რომ კარიერის დასრულებამდე მისი მაისურით კვლავ ვითამაშო. მერე იყო უმაღლესი ლიგის გუნდი - თბილისის „აკადემია“, სადაც ორი წელი გავატარე და 2013 წელს ბათუმის ქვიშის რაგბის ტურნირი მოვიგე.

— აშშ-ში როგორ მოხვდით?

— მქონდა სურვილი, კარიერა საზღვარგარეთ გამეგრძელებინა და 2014 წელს ორი ვარიანტი გამომიჩნდა - ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები. ჩემი აგენტი თავდაპირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოს შტატის კლუბ „გლენდეილ რეპტორზს“ დაუკავშირდა, საიდანაც მიწვევა მივიღე და ამერიკაში გავემგზავრე. აქ ყველა ძალიან კარგად დამხვდა და ევროპაზე აღარც მიფიქრია. კლუბში იდეალური ატმოსფეროა, მეგობრული გუნდია და პირველივე დღიდან ყველა გვერდში მიდგას. მესამე წელია, აქ ვთამაშობ და ორჯერ - 2015 და 2016 წლებში - წყნარი ოკეანის თასის (Pacific Rugby Premiership) გამარჯვებული გავხდი.

— შარშან ამერიკაში ხომ პროფესიული ლიგა Pro Rugby დააარსეს...

— ეს სულ სხვა ტურნირი იყო, რომელიც შარშან დაარსდა, თუმცა, სპონსორებმა რატომღაც დაფინანსება არ ისურვეს და ლიგა დაიშალა. 2016 წლის მიწურულს ახალი პროფესიული ლიგა შეიქმნა და წლეულს ტურნირი განსხვავებული სისტემით ჩატარდება. შარშან Pro Rugby-ში ისეთი ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც არიან ახალზელანდიელი მილს მულიაინა, იტალიელი მირკო ბერგამასკო, სამხრეთაფრიკელი პედრი ვანენბურგი და მრავალი სხვა.

გარდა ამისა, ამერიკაში გეოგრაფიული პრინციპით ყოველწლიურად რამდენიმე ჩემპიონატი ტარდება და ერთ-ერთი ასეთი უმაღლესი დონის ტურნირია წყნარი ოკეანის თასი, რომელიც 2017 წლიდან პროფესიული გახდა, სახელს შეიცვლის და Elite Man Rugby League ერქმევა. შეიცვალა მისი გამართვის სისტემაც. Pacific Rugby Premiership-ში კალიფორნიის შტატის 5 და კოლორადოს შტატის 2 გუნდი გამოდიოდა, ხოლო ახალ ლიგაში 6 შტატის გუნდი იქნება გაერთიანებული. რასაც ეს სამი წელიწადია ვხედავ, ამერიკის შიდა ჩემპიონატის დონე ყოველწლიურად მაღლდება, ჩამოჰყავთ ლეგიონერები, უცხოელი მწვრთნელები და ვფიქრობ, ამ პირობებში ამერიკას სულ მალე ტოპ 14-ისა და ავივა პრემიერშიპის დონის ჩემპიონატი ექნება.

— ამერიკის პროფესიულ ლიგაში თქვენს გარდა სხვა ქართველები თუ არიან?

— ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი ქართველი ვარ, რომელსაც პროფესიული კონტრაქტი გაუფორმეს. ამან დიდი სტიმული მომცა. ვეცდები, საკუთარი თავი, ჩემი ქვეყანა და ქართული რაგბი საუკეთესოდ წარმოვაჩინო და იმედია, მომავალში პროფესიულ კონტრაქტს სხვა ქართველებსაც გაუფორმებენ. ჩემს გუნდშია აკადემიელი თანაგუნდელი მერაბ მაჩიტიძე, ოღონდ ის მეორე გუნდში, მეორე დივიზიონში თამაშობს. 2009-2010 წლებში „გლენდეილ რეპტორზში“ იყო ჩემი მეგობარი რატი ნუცუბიძე, ძალიან კარგი მორაგბე, რომელიც ამჟამად ნიუ იორკის „ოლდ ბლუ რაგბი ქლაბში“ თამაშობს, ოღონდ არაპროფესიული კონტრაქტით.

— „გლენდეილ რეპტორზში“ სხვა ლეგიონერებიც ან ცნობილი ამერიკელი მორაგბეები თუ არიან?

— ლეგიონერები მრავლად გვყავს - სამხრეთ აფრიკიდან, ახალი ზელანდიიდან, სამოადან, ავსტრალიიდან, ინგლისიდან. ასევე გუნდშია ამერიკის ეროვნული ნაკრების რამდენიმე მოთამაშე. ერთ-ერთ მათგანს, მგეზავ ატა მალიფას საქართველოს წინააღმდეგაც უთამაშია.

— ივნისში აშშ-ის ნაკრებთან ტესტ-მატჩს საქართველო გამართავს...

— ჩემი თანაგუნდელები სანაკრებო თამაშებისთვის ფსიქოლოგიურად უკვე ემზადებიან. მათ კარგად იციან, რა ძალას წარმოადგენს საქართველოს ნაკრები და საერთოდაც, ქართულ რაგბიზე ბევრი რამ სმენიათ. იმის გამო, რომ ძალისმიერი სტილით თამაშის მიმდევარი ვარ, თანაგუნდელები ხუმრობით გორგოძეს მეძახიან.

— რამდენი თამაში ჩაატარეთ „გლენდეილ რეპტორზის“ მაისურით გასულ ორ სეზონში?

— პირველ გუნდს, რომელიც უმაღლეს დივიზიონში გამოდის, ამ ორი წლის განმავლობაში 24 თამაში ჰქონდა და 15 მათგანში მეც მივიღე მონაწილეობა. გარდა ამისა, ვეხმარებოდი მეორე გუნდსაც. აქ სხვადასხვა დივიზიონების თამაშები სხვადასხვა პერიოდებში ტარდება და ამის საშუალება მქონდა. მეორე დივიზიონში 8 თუ 9 ლელო მივითვალე და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, 3 გარდასახვაც გავიტანე (იცინის).

— პროფესიული კონტრაქტი რა პერიოდით გააფორმეთ და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— ახალი კონტრაქტი ერთწლიანია, პირობები ძალიან კარგია და არაა გამორიცხული, გუნდში სამომავლოდაც დავრჩე. თუმცა, გადაწყვეტილი არაფერია და თუ ევროპიდან საინტერესო წინადადებები მექნება, აუცილებლად განვიხილავ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გზებსა და გზაჯვარედინებზე

ახალი რეგულაციები მძღოლებისთვის

რას მოუტანს მძღოლებს ახალი რეგულაციები? ამის შესახებ For.ge-ს პლატფორმა „ჰაბ ჯორჯიას“ აღმასრულებელი დირექტორი ვასილ ურუშაძე ესაუბრა.

— ახალი წლიდან ავტომფლობელებისთვის დაგეგმილი ახალი რეგულაციები გაურთულებს თუ გაუიოლებს მძღოლებს ავტომანქანით გადაადგილებას? საუბარია უკონტაქტო პატრულირებაზე, მართვის მოწმობის საგამოცდო სისტემის შეცვლასა და მის ქუჩაში გადატანაზე და სხვა.

— შს სამინისტროს მიერ შეთავაზებული სიახლეები სხვადასხვა სეგმენტს გულისხმობს. ეს არის უკონტაქტო პატრულირება, ასქულიანი მართვის მოწმობის სისტემის დანერგვა, ასევე, მართვის მოწმობების საგამოცდო სისტემის შეცვლა და ქუჩაში გადატანა. ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს. ვფიქრობთ, აუცილებელია უკონტაქტო პატრულირების დანერგვა, რადგან უკვე წლებია, ჩვენს ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მონიტორინგი მოძველებული, არაეფექტური და განვითარებული ქვეყნებისთვის შეუსაბამოა.

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები იძულებული არიან, დამრღვევი ავტომობილი გააჩერონ, მოახდინონ მძღოლის იდენტიფიცირება, გამოუწერონ საჯარიმო ქვითარი, რაც გარკვეულ პროცედურებთან, დროსთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით, რთულია ეს თბილისში, სადაც მოძრაობა ისედაც გადატვირთულია და პატრულის მხრიდან ავტომობილის გაჩერება ქუჩაში მოძრაობის პარალიზებას გამოიწვევს. რაც შეეხება უკონტაქტო პატრულირებას, ეს გულისხმობს მთლიანად საქართველოს საავტომობილო გზების (როგორც ქალაქების, ასევე, საქალაქთაშორისო გზების), ასევე, მაგისტრალების ჭკვიანი ვიდეო და ფოტოფიქსატორებით აღჭურვას. ისინი აფიქსირებენ ისეთ დარღვევებს, როგორიცაა სიჩქარის გადაჭარბება, არასწორი მანევრირება, ღერძულა ხაზის გადაკვეთა და საპირისპირო ზოლში გადასვლა, გზაჯვარედინზე არდათმობა, ქვეითისთვის გზის არდათმობა და სხვა.

თავად ჭკვიანი კამერა, ფოტო და ვიდეოფიქსატორი აფიქსირებს ამ დარღვევას, ვიდეოჩანაწერის შესაბამის მონაკვეთს აგზავნის მართვის ცენტრში, სადაც მყოფი ანალიტიკოსები დამრღვევი სატრანსპორტი საშუალების მფლობელს საკუთარ მისამართზე უგზავნიან საჯარიმო ოქმს, ანუ აღსრულება ხდება კონტაქტის გარეშე. პატრულმა შეიძლება დააფიქსიროს დარღვევა თავის ვიდეორეგისტრატორზე, რომელიც პატრულის ავტომობილშია განთავსებული და ეს გახდეს დაჯარიმების საფუძველი. ეს წინგადადგმული ნაბიჯია.

— მართვის მოწმობის გამოცდის ავტოდრომიდან ქალაქის ქუჩებში გადატანა რამდენად კომფორტული იქნება ავტოტრანსპორტით გადაჭედილი საქართველოს ქალაქებისთვის?

— მართვის მოწმობის გაცემის წესის პრობლემა მართლაც არსებობს ჩვენს ქვეყანაში. ამას ადასტურებს საქართველოში ავტოსკოლების ფუნქციონირება. ინტერნეტში შეგვიძლია გადავაწყდეთ ისეთ განცხადებებს, როცა რომელიღაც ავტოსკოლა აცხადებს, რომ მართვის მოწმობის აღების კურსებს ხუთ საათში გაივლიან. ახალბედა მძღოლებს გარანტიას აძლევენ, რომ ხუთსაათიანი ინტენსიური მეცადინეობის შემდეგ ისინი მართვის მოწმობას აიღებენ. ცხადია, ასეთი სისტემა ძალზე მახინჯი, არასწორია და მართვის მოწმობის ამღებთა 99% რეალურად არ იღებს განათლებას, არ სწავლობს საგზაო მოძრაობის წესებს, საგზაო ნიშნებს, მძღოლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. უბრალოდ, იზეპირებს იმ ტექსტებს, რომლებიც საჭიროა გამოცდაზე, რაც დანაშაულებრივია. სამწუხაროდ, ამის კონტროლი არ ხორციელდება. გამოცდების პრაქტიკული ნაწილის ქალაქში გადატანა კი უკან გადადგმული ნაბიჯია. მართალია, ეს მეთოდი განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულია, მათ შორის, ამერიკაში, ევროპაში, მაგრამ დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ დაინერგა და უკვე განვითარებული ქვეყნებიც აღიარებენ, რომ ძალზე მოძველებული მეთოდია.

— უკეთეს მეთოდს იცნობენ განვითარებულ ქვეყნებში?

— უცხოეთში თანდათანობით გადადიან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე. უკვე დანერგილია ავტოსიმულატორები, რომლებიც განთავსებულია ჩვეულებრივ შენობაში და ადაპტირებულია 73 გამოსახულებით. ასევე, ადაპტირებულია ავტომობილის იდენტური ტექნიკური მახასიათებლებით. ადამიანი ჯდება ამ სიმულატორში და პროგრამულად გაშვებულ ნებისმიერ რეჟიმში სწავლობს ავტომობილის მართვას. ეუფლება ქალაქში მოძრაობის წესებს, უამინდობის, წვიმიან, თოვლიან ამინდში მოძრაობას, ექსტრემალურ ვითარებაში ავტომობილის მართვას. ოთახიდან გაუსვლელად შეიძლება, ყველა ეს ფუნქცია შეასრულოს ადამიანმა. ეს მეთოდი პირველად დაინერგა ავიაციაში. წლები სჭირდებათ მფრინავებს, რომ ჯერ სიმულატორებზე ივარჯიშონ, ჩააბარონ გამოცდები, შემდეგ გადასხდნენ ნამდვილ თვითმფრინავზე.

— ჩვენთან რატომ იკავებენ თავს, ავტოსიმულატორები ძვირად ღირებული ხომ არ არის?

— ეს შეკითხვა ლეგიტიმურია, მაგრამ რეალურად ავტოსიმულატორები ბევრად იაფი დაჯდება, ვიდრე ქალაქში გამოცდების ჩაბარება. ქალაქში გამოცდების ჩაბარებას სჭირდება დამატებითი სატრანსპორტო საშუალებები, დამატებითი ადამიანური რესურსი, ავტომობილისთვის საჭირო მომსახურება (საწვავი, საზეთ-საპოხი მასალები, ტექნიკური რემონტი). ასევე, გამორიცხული არ არის, გამოცდების ჩაბარების პროცესში მოხდეს მცირე საგზაო შემთხვევები და დაზიანებული ავტომობილების ანაზღაურება გახდეს საჭირო. ამდენად, ქალაქში გამოცდების ჩაბარება ბევრად უფრო მეტ ხარჯთანაა დაკავშირებული, ვიდრე სიმულატორის ერთჯერადი ღირებულებაა, რომელსაც რამდენიმეწლიანი ექსპლუატაციის ვადით შევიძენთ.

— რომელ ქალაქებში აპირებენ გამოცდების ჩატარებას?

— შს სამინისტრო ფიქრობს, რომ ეს იქნება ის ქალაქები, სადაც უკვე არის საგამოცდო ცენტრები. ასეთებია რუსთავი, ქუთაისი, ოზურგეთი, ბათუმი, გორი და სხვა.

— რომელ ქალაქშია უფრო რთული ავტომობილის მართვა?

— ქუთაისში ძალიან რთულია, რადგან გადატვირთული ქალაქია. ბათუმში კიდევ უფრო რთულია, რადგან კიდევ უფრო გადატვირთულია. ავტომობილის მართვა ბევრად უფრო მარტივია გორში. შესაბამისად, ხომ არ მივიღებთ იმ უკუშედეგს, როცა ყველა ეცდება, გორში ჩააბაროს გამოცდები? გორში ქალაქის დაგეგმარება მარტივია, მოძრაობაც არ არის იმდენად დიდი. პრობლემა ის არის, რომ წინასაგამოცდო პერიოდი საქართველოში არ არის. ადამიანებს სურვილიც არ უჩნდებათ, ისწავლონ. ამიტომ ისეთი მექანიზმი უნდა შევქმნათ, რომ წინამოსამზადებელი პერიოდი უფრო მეტად შემეცნებითი იყოს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია სიმულატორების დანერგვა. ავტოსკოლები იძულებული იქნებიან სიმულატორები შეიძინონ და სიმულატორებზე ასწავლონ მომავალ მძღოლებს.

— მთავრობაში აცხადებენ, მარჯვენასაჭიანი მანქანებით გადაადგილება მსოფლიოს ორ ქვეყანაშია ნებადართული — ავღანეთსა და ბირმაში. თუ ჩვენ გვინდა, დავემსგავსოთ ავღანეთსა და ბირმას, შეგვიძლია, დავრჩეთ იმავე რეჟიმში და გავაგრძელოთ ამ ავტომანქანების იმპორტი, მაგრამ მაქსიმალური პროცენტი ყველა ევროპულ ქვეყანაში 10%-ია.

— მარჯვენასაჭიანებთან დაკავშირებით მთავრობამ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოახდინა ადამიანების დისკრიმინაცია და ვერ დაადასტურა, რა საფრთხეს წარმოადგენდა მარჯვენასაჭიანი მანქანა ან მოძრაობის უსაფრთხოების, ან საცობების წარმოქმნის, ან ეკოლოგიის კუთხით.

— მთავრობაში მიიჩნევენ, რომ მარჯვენასაჭიანები საავარიო სიტუაციას იწვევენ.

— არც ერთ საერთაშორისო კონვენციასა და კვლევაში არ დასტურდება, რომ ავტომობილში განმსაზღვრელი იყოს საჭის მდებარეობა. არსებობს ავტომობილი „მაკლარენი“, რომელსაც საჭე შუაში აქვს და ორივე მხარეს აქვს მგზავრის ჩასხდომის საშუალება. შესაბამისად, თუკი ასეთი ავტომობილების სიმრავლე იქნება ქვეყანაში, მაშინ ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს? საჭის მდებარეობით მოძრაობის უსაფრთხოება არ რეგულირდება. ამიტომ შეუძლებელია ხელისუფლებამ მსგავსი რეგულაციები გაატაროს და აიძულოს მოქალაქეები, მარჯვენასაჭიანი შეიძინონ თუ მარცხენასაჭიანი. ეს არის გამოწვევა, რასაც ხელისუფლებამ უნდა უპასუხოს და არ უნდა აკრძალოს, ან გააძვიროს მარჯვენასაჭიანები.

ცხადია, ამიერიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი შეწყდება, რადგან სამმაგად იბეგრება და უფრო მეტ ტექნიკურად გაუმართავ ავტომობილს მივიღებთ, რომელთა იმპორტიც აშშ-დან და ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში ხორციელდება. ეს ავტომობილები ამორტიზებულია, ნაავარიევი და შემდეგ აღდგენილი. იაპონიიდან შემოტანილი მარჯვენასაჭიანები კი ტექნიკურად ბევრად უფრო გამართული იყო. იაპონიიდან უფრო უკეთესი სატრანსპორტო საშუალებების იმპორტი ხორციელდებოდა, ვიდრე ევროპიდან.

მანანა ნოზაძე

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთელი კოლექტივის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, არ შემიძლია, გულისტკივილი არ გამოვთქვა 17 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ჩემი სტატიის სათაურთან დაკავშირებით. რედაქციის მიერ სათაურში შეტანილი ცვლილების გამო აღმოვჩნდი უხერხულ მდგომარეობაში. სახელდობრ, მე სათაურად მქონდა — „საქართველოს ეკონომიკა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმში“, რედაქციამ ჩაასწორა შემდეგნაირად: „საქართველოს რესპუბლიკა თავისებურ რეპრესიულ რეჟიმშია“, რამაც აბსოლუტურად შეცვალა სტატიის შინაარსი და დაარღვია ჩემი საავტორო უფლება.

როზეტა ასათიანი

რედაქცია გულწრფელად წუხს ჩვენი ძველი, ერთობ კომპეტენტური ავტორის წერილის სათაურის უნებლიედ შეცვლის გამო და ჰპირდება სახელოვან მეცნიერსა და მწერალს, რომ მსგავსი „კორექტურა“ ჩვენს გაზეთში აღარასოდეს განმეორდება!

იმერეთის რეგიონში პრობაციონერები დასაქმდნენ

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ — პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, იმერეთის რეგიონში ორი პირობით მსჯავრდებული დასაქმდა. იმერეთის პრობაციის ბიუროს დახმარებით, საჩხერესა და ტყიბულში აღრიცხვაზე მყოფ პრობაციონერებს სტაბილური შემოსავალი გაუჩნდათ.

იმერეთის პრობაციის ბიურომ ინდივიდუალურად შეისწავლა თითოეული მათგანის რისკები და საჭიროებები. შესაბამისი შეფასებების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შედეგად, პრობაციონერები სხვადასხვა სამსახურში (პურის საცხობი და მაღაზია) დასაქმდნენ. მათი გამომუშავება თვეში, საშუალოდ, 250—დან 500 ლარამდე იქნება.

2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე 553 პირობით მსჯავრდებულია დასაქმებული.

ახალგაზრდების 97%-ს — ღმერთის, 80%-ს კი სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის სწამს!

ფრიდრიხ ებერტის ფონდის კვლევის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები და გამოკვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა თავს რომელიმე რელიგიურ მიმართულებას აკუთვნებს.

კვლევის შედეგებით, გამოკითხული ახალგაზრდების აბსოლუტურ უმრავლესობას, ანუ 97 პროცენტს სჯერა ღმერთის არსებობის. ასევე, 80 პროცენტს სჯერა სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის, ამავდროულად, შედარებით ნაკლებ წილს, 75 პროცენტს სჯერა იმის, რომ მორალური ნორმები და მოვალეობები ღმერთისგან მომდინარეობს.

კვლევის შედეგების მიხედვით, უმრავლესობა, ანუ 85 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო 10 პროცენტი — მაჰმადიანი. მცირე ნაწილი მიაკუთვნებს თავს აპოსტოლურ ეკლესიას — 2 პროცენტი, კათოლიკე ქრისტიანს 1 პროცენტი, ათეისტს 1 პროცენტი და სხვა აღმსარებლობას 1 პროცენტი.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევა მოიცავდა 14-29 წლის ახალგაზრდებს. კვლევა ჩატარდა 2016 წლის მაის-ივნისის პერიოდში.

პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გუდაურში

თბილისში Carlson Rezidor Hotel Group-ის ვიცე-პრეზიდენტი დევიდ ჯენკინსი იმყოფება, რომელიც კომპანია „რედ-კოს“ წამომადგენლებთან ერთად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს ქეთევან ბოჭორიშვილს შეხვდა. მხარეებმა საქართველოს მთის კურორტების საინვესტიციო შესაძლებლობები განიხილეს, მათ შორის საუბარი შეეხო ახალი გუდაურის განვითარებასაც.

„Carlson Rezidor“-ის ჯგუფი საქართველოში აქტიურად არის წარმოდგენილი სხვადასხვა საერთაშორისო ბრენდების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ ის უკვე ახალ მიმართულებებს ირჩევს და აფართოებს ქსელს არამხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს რეგიონებშიც. კომპანიას უკვე აქვს გადაწყვეტილება, მიღებული გუდაურში მართოს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. – განაცხადა ქეთევან ბოჭორიშვილმა.

მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შემდეგ სტუმრები გუდაურში გაემგზავრნენ, სადაც ეკონომიკის სამინისტროს მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელთან ალექსანდრე ონოფრიშვილთან ერთად კურორტს „რედ-კოს“ მიერ უკვე აშენებულ და ოპერირებაში მყოფ აპარტოტელებსა და ახალი სასტუმროს „Radisson Blu Gudauri“-ს სამშენებლო ტერიტორიას დაათვალიერებენ. Carlson Rezidor Hotel Group და კომპანია „რედ-კოს“ „Radisson Blu Gudauri“-ს გახსნას 2018 წელს გეგმავენ. როგორც „რედ-კოს“ წარმომადგენლები აცხადებენ, ეს იქნება პირველი ხუთვარსკვლავიანი საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო მთის კურორტზე არამარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში.

◎ ტრიალში დახელოვნებული

მარიკა ფრუშო და გლდანელი მეშაურმეები

მკერდთა შორის უმკერდესის მფლობელმა, იტალიის საფეხბურთო ნაკრებისა და სამხრეთული „ნაპოლის“ თავგადაკლულმა ქომაგმა, მოდელმა მარიკა ფრუშომ, როგორც იქნა, აღიარა, რომ გემრიელად სმა და ჭამა მისი ერთ-ერთი მთავარი ჰობია და სწორედ ამიტომაც უჭირს საკუთარი წონის კონტროლი.

მარიკა თურმე ძალიანაა დაინტერესებული სხვადასხვა ქვეყნების კულინარიით, მუდამ ცდილობს, ახალ-ახალი კერძები დაგემოვნოს და სხვადასხვანაირ გემოებს მისცეს გზა-გასაქანი. ფრუშოს თურმე საკუთარი მზარეულიც ჰყავს, რომელიც ათასგვარი გემრიელობებით ანებივრებს მკერდდალოცვილ ქალბატონს.

მარიკა ფრუშოს კულინარიული ტრფიალობის ამბავი რომ გაიგეს, გლდანელმა მეშაურმეებმა თურმე სპეციალური მოსაწვევი გაუგზავნეს იტალიელ მოდელს. მეშაურმეები მარიკას საქართველოში ჩამოსვლას და საოცარი სუპერშაურმის დაგემოვნებას სთავაზობენ! შაურმა თურმე იმხელა იქნება, მარიკას მისი აეროპორტში მოტრიალება გაუჭირდებაო...

ეგ არაფერი – ტრიალში დახელოვნებულ მარიკას გლდანის შაურმით ვერ შეაშინებ, მოახერხებს რამეს...

ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა

რუსთაველის გამზირზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად, გარდაიცვალა ერთი, ხოლო დაშავდა სამი ადამიანი. ავტოსაგზაო შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს.

ერაყის არმიამ აღმოსავლეთ მოსული გაათავისუფლა

ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა აღმოსავლეთ მოსული ისლამისტებისგან გაწმინდა. ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჰაიდერ აბადიმ განაცხადა. მისივე თქმით, ამჟამად ერაყის არმია დასავლეთ მოსულის გასათავისუფლებლად მასირებული შტურმისთვის ემზადება. მოსულის გათავისუფლების ოპერაცია კოალიციის ავიაციის მხარდაჭერით გასული წლის ოქტომბერში დაიწყო.

საუდის არაბეთმა ნავთობის მოპოვება ისტორიულ მაქსიმუმამდე გაზარდა

2016 წლის ნოემბრის თვეში საუდის არაბეთმა ნავთობის მოპოვება ისტორიულ მაქსიმუმ მაჩვენებლამდე გაზარდა, აღნიშნულია Joint Organization Data Initiative (JODI)-ის მონაცემებში.

გასული წლის ნოემბერში ნავთობის წარმოებამ შეადგინა 10,72 მლნ ბარელი/დღე-ღამეში ოქტომბრის თვის 10,625 მლნ ბარელის მაჩვენებელთან შედარებით. 2015 წლის ნოემბერში ქვეყანა მოიპოვებდა 10,186 მლნ ბარელს/დღე-ღამეში. ამასთან, 2016 წლის ნოემბრის თვეში საუდის არაბეთმა გაზარდა ნავთობის ექსპორტი 8,258 მლნ ბარელამდე/დღე-ღამეში წინა თვის 7,636 მლნ ბარელის მაჩვენებელთან შედარებით. 2015 წლის ნოემბერში ექსპორტმა შეადგინა 7,719 მლნ ბარელი/დღე-ღამეში. JODI-ის მონაცემებით, 2016 წლის ნოემბერში ნავთობის მოპოვებამ ერაყში შეადგინა 4,8 მლნ ბარელი/დღე-ღამეში ოქტომბრის თვის 4,776 მლნ ბარელის მაჩვენებელთან შედარებით. ხოლო წარმოება ვენესუელაში კვლავ მინიმუმ მაჩვენებელზე დგას 2003 წლის შემდეგ: ნოემბერში მან შეადგინა 2,276 მლნ ბარელი/დღე-ღამეში წინა თვის 2,316 მლნ ბარელის მაჩვენებელთან შედარებით.

უკრაინელი ჟურნალისტი ალფავიტის შეცვლის ინიციატივით გამოდის

ევროკავშირთან ქვეყნის დაახლოების მიზნით, უკრაინული ალფავიტი კირილიციდან ლათინურზე უნდა გადავიდეს. ინიციატივა სოციალურ ქსელ ფეისბუქზე კიეველმა ჟურნალისტმა გააჟღერა. მისივე თქმით, რაც უფრო ბევრი რამ განასხვავებს უკრაინას რუსეთისგან, მით უფრო დაუახლოვდება ქვეყანა ევროპას. **„ჩვენ უნდა გვძულდეს ყველაფერი რუსული. მათ შორის, ალფავიტიც. თქვენ შეიძლება მითხრათ, რომ სიძულვილი ცუდია, მაგრამ მე გეტყვით, რომ რუსეთის სიძულვილი კარგია,“** – წერს ჟურნალისტი.

არც ისე წვიმს, როგორც ქუხს

ცხოვრების მჯდომარე წესის საფრთხე გადაჭარბებულია, აცხადებენ ამერიკელი მედიკოსები.

მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ცხოვრების მჯდომარე წესი გულის დაავადებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში პროვოცირებს, თუკი კაცი ამ მდგომარეობაში დღე-ღამეში 10 საათზე მეტს ატარებს.

ოფისში მომუშავეთათვის კი, რომლებიც მაგიდასთან დღეში, საშუალოდ, 7-8 საათს მუშაობენ, გულის სისხლძარღვთა დაავადების რისკი უმნიშვნელოდ, დაახლოებით 2 პროცენტით ეზრდებათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა ყველაზე სანდო გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6868; ევრო - 2.8851;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3496;
100 რუბლი - 4.5244; თურქული ლირა - 0.7127;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4445;
1000 სომხური დრამი - 5.5295.

ამინდი 26 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -7	დღე +12
მთიანი რაიონები -	ღამე -14	დღე +7
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე -7	დღე +7
თბილისი:	ღამე -3	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE